

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი



მაკა ღანიაშვილი

საქართველოს საპენსიო სისტემის ადეკვატურობისა და მდგრადობის შეფასება
COVID-19 პანდემიით გამოწვეული გლობალური ეკონომიკური
შოკების პირობებში

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი

მეცნიერ-ხელმძღვანელი ემზარ ჯგერენაია
ასოცირებული პროფესორი

თბილისი
2021

აბსტრაქტი

მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე დემოგრაფიული ცვლილებების ფონზე, საპენსიო პოლიტიკამ განსაკუთრებული მნიშვნელობა ბოლო ათწლეულების განმავლობაში შეიძინა. მოსახლეობის სიცოცხლის გახანგრძლივებასა და შობადობის შემცირებასთან ერთად, დღის წესრიგში დადგა საპენსიო სისტემების რეფორმის საჭიროება, რომლის მთავარი მიზანი, მაკროეკონომიკური თვალსაზრისით, ფისკალური წნეხის შემცირება, ხოლო მიკრო მასშტაბებით, პენსიონერთათვის სათანადო შემოსავლის პირობებში ღირსეული სიბერის უზრუნველყოფაა. საპენსიო სისტემის მოწყობის თვალსაზრისით არ არსებობს ერთი უნივერსალური მოდელი, რომელიც ყველა ქვეყანას იდეალურად მიესადაგება, ვინაიდან მის ჩამოყალიბებას ქვეყნებისთვის დამახასიათებელი კონკრეტული ფაქტორები და გამოწვევები განსაზღვრავს. შესაბამისად, ამა თუ იმ ქვეყნის რეალობაზე მორგებული, მაქსიმალურად ოპტიმალური საპენსიო სისტემის შემუშავება-დანერგვა არის ქვეყნების წინაშე მდგარი ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა დღეს. საქართველოში დაგროვებითი საპენსიო სისტემის ჩამოყალიბება 2019 წლის 1 იანვრიდან დაიწყო. დღეისათვის სისტემა შენების ეტაპზეა, ამიტომ მნიშვნელოვანია რეფორმის მიმდინარეობის შეფასება და არსებული გარემო პირობების შესწავლა. გარდა ამისა, დღეს მსოფლიოს Covid-19 პანდემიით გამოწვეულ კრიზისთან უნვეს გამკლავება. მომავალი ბუნდოვანია, როგორც სამედიცინო, ასევე ფინანსურ-ეკონომიკური თვალსაზრისით. რაც კიდევ უფრო ზრდის ფისკალურ წნეხს და აქტუალურს ხდის საპენსიო სისტემების რეფორმის საკითხს. ნაშრომში, ავტორის მიერ ჩატარებული რაოდენობრივი და ემპირიული კვლევით მიღებული შედეგების საშუალებით, განსაზღვრულია საქართველოს საპენსიო სისტემის ადეკვატურობისა და მდგრადობის სინთეტიკური ინდიკატორები ევროპის 28 ქვეყნის საპენსიო სისტემებთან მიმართებაში 2010-2018/19 წლებში და შემუშავებულია შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები საქართველოს საპენსიო სისტემის განვითარების პერსპექტივებთან დაკავშირებით, Covid-19 პანდემიით გამოწვეული გლობალური ეკონომიკური შოკების პირობებში.

ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს საპენსიო სისტემის კომპლექსური ანალიზი და ამის საფუძველზე მიმდინარე საპენსიო სისტემის რეფორმის პირობებში შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება. მიზნიდან გამომდინარე შეირჩა შემდეგი ამოცანები: საქართველოს საპენსიო სისტემის რაოდენობრივი ანალიზი და მისი შეფასება რეფორმის ოფიციალურად ამოქმედებამდე პერიოდში მრავალფუნქციური მიდგომით, მომავალში რეფორმის ეფექტიანობის შეფასებისათვის საჭირო სტატისტიკური ბაზის შესაქმნელად; საქართველოს საპენსიო სისტემის ადეკვატურობისა და მდგრადობის სინთეტიკური ინდიკატორების განსაზღვრა ევროპის 28 ქვეყანასთან მიმართებაში; ქვეყანაში მიმდინარე საპენსიო რეფორმის შეფასება-ანალიზი რეფორმის ამოქმედებიდან 2 წლის განმავლობაში; Covid-19 პანდემიით გამოწვეული გლობალური ეკონომიკური ტენდენციების ანალიზი; Covid-19 პანდემიით გამოწვეული გლობალური და ადგილობრივი ეკონომიკური შოკების პოტენციური გავლენის შეფასება საქართველოს საპენსიო სისტემის მდგრადობაზე.

ევროპული ქვეყნების პარალელურად, საქართველოს საპენსიო სისტემისათვის შეიქმნა რეფორმის ეფექტიანობის შესაფასებლად საჭირო მრავალფუნქციური შეფასების მეთოდოლოგია, ისეთი ინდიკატორების გამოყენებით, როგორცაა სიღარიბის დონე საპენსიო ასაკის მოსახლეობაში; მედიანური შემოსავალი 65+ ასაკის მოსახლეობისთვის; ჩანაცვლების აგრეგირებული განაკვეთი; უთანასწორობის ინდიკატორი პენსიონერთა შორის, რომელიც განსაზღვრავს უთანასწორობის მაჩვენებელს უმდიდრეს 20%-ისა და უღარიბესი 20%-ის შემოსავლებს შორის; საპენსიო ხარჯების თვრდობა მშპ-თან; დასაქმების მაჩვენებელი 55-64 ასაკობრივ კატეგორიაში და სამუშაო წლების ხანგრძლივობა ქვეყანაში 15+ ასაკობრივი კატეგორიისთვის.

კვლევის შემდეგ მიღებული შედეგები ქმნის საფუძველს გვერდეს ხელშესახები ტენდენციები და მონაცემთა ბაზა, რომელიც საშუალებას მოგვცემს ერთმანეთს შევადაროთ არამხოლოდ საქართველოს საპენსიო სისტემა სხვადასხვა პერიოდში, არამედ გავავლოთ პარალელები სხვა ქვეყნების საპენსიო სისტემების განვითარების ტენდენციებთანაც. ჩვენ მიერ დისერტაციაში გამოყენებული კვლევის მეთოდი

საშუალებას გვაძლევს კომპლექსურად განვიხილოთ სხვადასხვა ცვლადის მიმართება ერთმანეთთან და ჯგუფური დაკვირვებების მეთოდით გამოვყოთ ის ინდიკატორები, რომელიც ყველაზე მეტად მოქმედებს საპენსიო სისტემების ეფექტიანობასა და ადეკვატურობა-მდგრადობაზე; ასევე მოვახდინოთ იმ ცვლადების იდენტიფიცირება, რომელიც ყველაზე ხშირად გვევლინება ჩვენ მიერ შესწავლილი 29 ქვეყნის საპენსიო სისტემის გაუმჯობესებისა თუ გაუარესების კატალიზატორად.

პანდემიით გამოწვეული გლობალური და ადგილობრივი ეკონომიკური შოკები უფრო რთულს გახდის საპენსიო სისტემის ადეკვატურობის ნიშნულის გაზრდასა და მდგრადობის შენარჩუნებას, თუმცა სადისერტაციო ნაშრომში შემოთავაზებული კვლევის შედეგებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება, რეფორმის პროცესს უფრო ეფექტიანსა და შედეგიანს გახდის.

საკვანძო სიტყვები: საპენსიო სისტემა; დაგროვებითი საპენსიო სქემა; საპენსიო რეფორმა; Covid-19 პანდემია; ეკონომიკური შოკები

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
The Faculty of Economics and Business

Maka Ghaniashvili

**Assessing the adequacy and sustainability of the pension system of Georgia
in the conditions of global economic shocks caused by COVID-19**

Scientific Supervisor: **Emzar Jgerenaia**

Doctor of Economics

Associate Professor

Abstract

For several decades, pension systems across the world have been undergoing reforms. The main reasons for this are demographic changes. Decreased birth rates and increased life expectancy over the next decades will significantly change the picture of the age distribution of the population in many countries. As life expectancy increases and the birth rate decreases, more people retire than are added to the workforce. A change in the

demographic picture necessitates fundamental pension reform. Along with prolonging the population life the need to reform pension systems has become on the agenda around the world, its main goal is to reduce fiscal pressure in macroeconomic terms, and on a micro scale, ensuring a decent old age with adequate income for retirees. At the same time, the world is facing a crisis caused by the COVID-19 pandemic. The future is uncertain, both medically and financially. Funded pension schemes suffer from the crisis because lower returns diminish their asset values, while low yields on public debt instruments increase the present value of their liabilities. This can generate both explicit fiscal risks—in the case of government guarantees—and implicit fiscal risks through lower private pension benefits or financial strain on the sponsoring employers. Our research is focused on the pension system and its development problems in Georgia, taking into account that since 2019, 1st January, the existing financial, demographic and economic challenges have determined the establishment of a new pension system. In the following study, in parallel with the current events in the world we assess the adequacy and financial sustainability of the Georgian pension system together with the pension systems of 28 European countries during 2010-2018/19 years and determine possible directions for the development of pension systems in the face of economic shock.

The purpose of the quantitative research was a comprehensive analysis of the pension system of Georgia, for developing relevant conclusions and recommendations in the context of the current pension system reform. Due to the aim the following tasks were selected: Quantitative analysis of the Georgian pension system and its evaluation before the implementation of the reform with a multifunctional approach, to create the statistical base will need to assess the effectiveness of the reform in the future; Determination of synthetic indicators of adequacy and sustainability of the Georgian and 28 European countries' pension systems; Evaluation-analysis of the current pension reform in the country within 2 years after the implementation of the new pension system; Analysis of global economic trends caused by the Covid-19 pandemic; Assessing the potential impact of global and local economic shocks caused by the Covid-19 pandemic on the sustainability of Georgia's pension system.

In parallel with European countries, a multifunctional evaluation methodology has been developed for the Georgian pension system to assess the effectiveness of the reform, using indicators such as - ARP- at-risk-of-poverty rate of pensioners; MRI65+ median relative income ratio of elderly people aged 65+, ARR - aggregated replacement ratio; S80/S20 - inequality of income distribution for people aged 65+), PE/GDP - pension expenditure; EMP55-64 - employment rate of people aged 55–64; DWL - duration of working life.

The research results provide us a basis for having tangible trends and a database that will allow us to compare not only the Georgian pension system in different periods, but also to draw parallels with the development trends of pension systems in other countries. The research method used by us allows us to comprehensively consider the relationship of different variables with each other and to identify the indicators that affect the most the efficiency and adequacy-sustainability of pension systems through the method of group observations; We will also identify the variables that most often appear to be the catalyst for the improvement of the pension systems of the 29 countries we have studied.

The global and local economic shocks caused by the pandemic will make it more difficult to increase the adequacy of the pension system and at the same time maintain its financial sustainability, however, taking into account the research results and recommendations presented in the dissertation will make the reform process more efficient and effective.

Keywords: Pension System; Accumulative pension scheme; Pension reform; Covid-19 Pandemic; Economic Shocks

სარჩევი

შესავალი	2
ტერმინები და აბრევიატურები	8
გრაფიკები	9
ცხრილები.....	10
თავი 1. საპენსიო სისტემების ადეკვატურობისა და მდგრადობის შეფასება	13
1.1 საპენსიო სისტემის ადეკვატურობა და ეფექტიანობა - ლიტერატურის მიმოხილვა.....	14
1.2 საპენსიო სისტემების ისტორიული გამოწვევები	26
1.3 საქართველოს საპენსიო სისტემის განვითარების პრობლემები 1991-2020 წლებში	64
1.4 საპენსიო სისტემების ადეკვატურობისა და მდგრადობის რაოდენობრივი გაზომვა საქართველოსა და ევროპის 28 ქვეყანაში.....	73
1.4.1 კვლევის მეთოდოლოგია	76
1.4.2 კვლევის ინდიკატორები.....	78
1.4.3 კვლევის შედეგები	81
1.4.4 კვლევის შეზღუდვები	92
თავი 2 - საპენსიო რეფორმისა და კაპიტალის ბაზრის განვითარების პრობლემები საქართველოში	94
2.1 საქართველოს საპენსიო რეფორმის გამოწვევები	98
2.2 კაპიტალის ბაზრის განვითარების პრობლემები და მისი მნიშვნელობა საპენსიო სისტემისთვის.....	113
თავი 3. Covid-19-ის გავლენა გლობალურ ეკონომიკასა და საპენსიო სისტემებზე	122
3.1 Covid-19-ის გავლენა გლობალურ ეკონომიკაზე.....	122
3.2 პანდემიით გამოწვეული კრიზისის გავლენა საპენსიო სისტემებზე.....	141
დასკვნები და რეკომენდაციები	154
გამოყენებული ლიტერატურა.....	161
დანართები	172

შესავალი

თემის აქტუალობა: მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე დემოგრაფიული ცვლილებების ფონზე, საპენსიო პოლიტიკამ განსაკუთრებული მნიშვნელობა ბოლო ათწლეულების განმავლობაში შეიძინა. მოსახლეობის სიცოცხლის გახანგრძლივებასა და შობადობის შემცირებასთან ერთად, დღის წესრიგში დადგა საპენსიო სისტემების რეფორმის საჭიროება, რომლის მთავარი მიზანი, მაკროეკონომიკური თვალსაზრისით, ფისკალური წნეხის შემცირება, ხოლო მიკრო მასშტაბებით, პენსიონერთათვის სათანადო შემოსავლის პირობებში ღირსეული სიბერის უზრუნველყოფაა. საპენსიო სისტემის მონყობის თვალსაზრისით არ არსებობს ერთი უნივერსალური მოდელი, რომელიც ყველა ქვეყანას იდეალურად მიესადაგება, ვინაიდან მის ჩამოყალიბებას ქვეყნებისთვის დამახასიათებელი კონკრეტული ფაქტორები და გამოწვევები განსაზღვრავს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზის მიხედვით¹ დღეს არსებული ვითარების გათვალისწინებით, სახელმწიფო პენსიის წილი განვითარებულ და განვითარებადი ეკონომიკების მშპ-ში 1-2.5%-ით გაიზრდება 2050 წლისთვის. გადასახადებისა და სხვა ხარჯების კორექტირების გარეშე ეს ზრდა გამოიწვევს საჯარო დანაზოგების შემცირებას. მსოფლიო ქვეყნების უმეტესობაში ახალგაზრდებს მოუწევთ გაცილებით მეტი დაზოგონ, რათა ისეთივე საპენსიო უზრუნველყოფა ჰქონდეთ, როგორც ახლანდელ პენსიონერებს აქვთ. ამასთანავე, თუ დაუშვებთ, რომ სხვა მაკროეკონომიკური პარამეტრები არ იცვლება, კერძო დანაზოგები უფრო მეტად იზრდება იმ ქვეყნებში, რომელთაც აქვთ საპენსიო სისტემის შერეული მოდელები, რომელიც ითვალისწინებს საპენსიო სექტორში ბენეფიციარების კონტრიბუციასაც. შესაბამისად, ამა თუ იმ ქვეყნის რეალობაზე მორგებული, მაქსიმალურად ოპტიმალური საპენსიო სისტემის შემუშავება-დანერგვა

¹ D. Amaglobeli, Hua Chai, E. Dabla-Norris, K. Dybczak, M. Soto, A. F. Tieman (2019) IMF SDN/19/01, The Future of Saving: The Role of Pension System Design in an Aging World, pp 5-6

არის ქვეყნების წინაშე მდგარი ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა დღეს. საქართველოში დაგროვებითი საპენსიო სისტემის ჩამოყალიბება 2019 წლის 1 იანვრიდან დაიწყო. დღეისათვის სისტემა შენების ეტაპზეა, შესაბამისად, მნიშვნელოვანია რეფორმის მიმდინარეობის შეფასება და არსებული გარემო პირობების შესწავლა. რაც განსაკუთრებით აქტუალური ხდება, ერთი მხრივ, საქართველოში მიმდინარე კაპიტალის ბაზრის რეფორმისა და, მეორე მხრივ, გლობალური ეკონომიკური შოკების გათვალისწინებით. მსოფლიოს Covid-19 პანდემიით გამოწვეულ კრიზისთან უწევს გამკლავება. მომავალი ბუნდოვანია, როგორც სამედიცინო, ასევე ფინანსურ-ეკონომიკური თვალსაზრისით. გლობალური მასშტაბით მცირდება ეკონომიკური ზრდის პროგნოზები, იზრდება უმუშევრობის დონე, იკლებს საინვესტიციო აქტივობები და მცირდება საბიუჯეტო შემოსავლები². ეს ყველაფერი კიდევ უფრო ზრდის ფისკალურ წნეხს და აქტუალურს ხდის საპენსიო სისტემების რეფორმის საკითხს. თუმცა, მეორე მხრივ, დიდია ცდუნება მთავრობების მხრიდან, მოკლევადიან პერიოდში ეკონომიკურ შოკებზე რეაგირებისათვის გამოიყენონ საპენსიო ფონდები, ან მიიღონ ისეთი ზომები, რომელიც ზრდის გენოლას საპენსიო სისტემებზე (მაგალითად, პენსიაზე ნაადრევად გასვლის ხელშეწყობა, პენსიონერთათვის საპენსიო თანხის ნაწილის წინასწარ გამოტანის ნებართვა და ა.შ.). ნაშრომში, ავტორის მიერ ჩატარებული რაოდენობრივი და ემპირიული კვლევით მიღებული შედეგების საშუალებით, განსაზღვრულია საქართველოს საპენსიო სისტემის ადეკვატურობისა და მდგრადობის სინთეტიკური ინდიკატორები ევროპის 28 ქვეყნის საპენსიო სისტემებთან მიმართებაში 2010-2018/19 წლებში და შემუშავებულია შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები საქართველოს საპენსიო სისტემის განვითარების პერსპექტივებთან დაკავშირებით, Covid-19 პანდემიით გამოწვეული გლობალური ეკონომიკური შოკების პირობებში.

კვლევის მიზანი და ამოცანები: კვლევის მიზანია საქართველოს საპენსიო სისტემის კომპლექსური ანალიზი და ამის საფუძველზე მიმდინარე საპენსიო სისტემის რეფორმის პირობებში შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

მიზნიდან გამომდინარე შეირჩა შემდეგი ამოცანები:

² შესაბამისი სტატისტიკური მაჩვენებლები მოცემულია დისერტაციის ძირითად ნაწილში

1. საქართველოს საპენსიო სისტემის რაოდენობრივი ანალიზი და მისი შეფასება რეფორმის ოფიციალურად ამოქმედებამდე პერიოდში მრავალფუნქციური მიდგომით, მომავალში რეფორმის ეფექტიანობის შეფასებისათვის საჭირო სტატისტიკური ბაზის შესაქმნელად;
2. საქართველოს საპენსიო სისტემის ადეკვატურობისა და მდგრადობის სინთეტიკური ინდიკატორების განსაზღვრა ევროპის 28 ქვეყანასთან მიმართებაში;
3. ქვეყანაში მიმდინარე საპენსიო რეფორმის შეფასება-ანალიზი რეფორმის ამოქმედებიდან 2 წლის განმავლობაში;
4. Covid-19 პანდემიით გამოწვეული გლობალური ეკონომიკური ტენდენციების ანალიზი;
5. Covid-19 პანდემიით გამოწვეული გლობალური და ადგილობრივი ეკონომიკური შოკების პოტენციური გავლენის შეფასება საქართველოს საპენსიო სისტემის მდგრადობაზე.

კვლევის საგანი და ობიექტი: კვლევის საგანს წარმოადგენს საქართველოს საპენსიო სისტემა. კვლევის ობიექტია საქართველოსა და ევროპის ქვეყნების საპენსიო სისტემის რაოდენობრივი პარამეტრები ადეკვატურობისა და მდგრადობის განსაზღვრისათვის, საპენსიო სისტემის რეფორმასთან ერთად.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები: კვლევის დროს გამოვიყენეთ რაოდენობრივი, ხარისხობრივი, თვისობრივი, შედარებითი, სტატისტიკური ანალიზის, დაჯგუფების, ინდექსური, დედუქციური, სინთეზის და „ქეის-სთადის“ (შემთხვევების შესწავლა) მეთოდები. ნაშრომი ეყრდნობა ქართველ და უცხოელ მეცნიერთა გამოკვლევებს საპენსიო სისტემებსა და გლობალურ ეკონომიკაზე Covid-19 პანდემიის გავლენასთან დაკავშირებით; ასევე საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მონაცემებს; პერიოდულ გამოცემათა მასალებს; საქართველოს და უცხოური ეროვნული/ცენტრალური ბანკებისა და სამთავრობო ორგანოების ნორმატიულ და სტატისტიკურ ანგარიშებს; გამოკვლევა ჩატარებულია ავტორის მიერ განხორციელებული რაოდენობრივი კვლევის შედეგების, საქართველოს ეროვნული ბანკის, მსოფლიო ბანკის, სავალუტო ფონდის, შრომის

საერთაშორისო ორგანიზაციის, ევროსტატის, ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და მრავალი სხვა ორგანიზაციის ბაზებში მოძიებული ფაქტობრივი და თეორიული მონაცემების ანალიზის საფუძველზე.

კვლევის მეცნიერული სიახლეები:

1. ჩატარებულია საქართველოს საპენსიო სისტემის რაოდენობრივი ანალიზი და შეფასებულია მისი მდგომარეობა რეფორმის დაწყებამდე პერიოდში მრავალფუნქციური მიდგომით;
2. ევროპული ქვეყნების პარალელურად, საქართველოს საპენსიო სისტემისათვის შეიქმნა რეფორმის ეფექტიანობის შესაფასებლად საჭირო მრავალფუნქციური შეფასების მეთოდოლოგია, ისეთი ინდიკატორების გამოყენებით, როგორცაა სიღარიბის დონე საპენსიო ასაკის მოსახლეობაში; მედიანური შემოსავალი 65+ ასაკის მოსახლეობისთვის; ჩანაცვლების აგრეგირებული განაკვეთი; უთანასწორობის ინდიკატორი პენსიონერთა შორის, რომელიც განსაზღვრავს უთანასწორობის მაჩვენებელს უმდიდრეს 20%-ისა და უღარიბესი 20%-ის შემოსავლებს შორის; საპენსიო ხარჯების ფარდობა მშპ-თან; დასაქმების მაჩვენებელი 55-64 ასაკობრივ კატეგორიაში და სამუშაო წლების ხანგრძლივობა ქვეყანაში 15+ ასაკობრივი კატეგორიისთვის.
3. განისაზღვრა საქართველოს საპენსიო სისტემის ადეკვატურობისა და მდგრადობის სინთეტიკური ინდიკატორები ევროპის 28 ქვეყნის საპენსიო სისტემებთან მიმართებაში;
4. განისაზღვრა Covid-19-ით გამოწვეული გლობალური ტენდენციების პოტენციური გავლენა საქართველოს საპენსიო სისტემაზე და შემუშავდა რეკომენდაციები ეკონომიკური შოკებით გამოწვეულ რისკებთან გამკლავების მიზნით.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა: კვლევის შედეგები და დასკვნები მნიშვნელოვნად დაეხმარება სამთავრობო ინსტიტუტებს ქვეყანაში მიმდინარე უმნიშვნელოვანესი რეფორმებისა და ეკონომიკური განვითარების კურსის განსაზღვრის, მისი კორექტირებისა და რეალიზაციის კონკრეტული საკითხების

დამუშავებისას. კვლევის შედეგების გამოყენება შესაძლებელია საუნივერსიტეტო სწავლებისა და კვლევების სხვადასხვა საფეხურზე. სადოქტორო ნაშრომში ასახული შედეგები საინტერესო და საყურადღებოა ამ სფეროში მოღვაწე მეცნიერი და პრაქტიკოსი მუშაკებისათვის, რათა მათ გააღრმავონ და გაათავსონ კვლევები ამ მიმართულებით.

კვლევის შედეგების აპრობაცია: კვლევის შედეგები წარდგენილი იყო და მოისმინეს შემდეგ კონფერენციებზე: მე-V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამონვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ (2020) და III ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია „კორონომიკა: ეკონომიკური მეცნიერების და ეკონომიკური პოლიტიკის თანამედროვე გამონვევები“ (2020). კვლევის შედეგები ასევე გამოქვეყნდა, როგორც ადგილობრივ (ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა“; ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი“), ასევე საერთაშორისო რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალებში, მათ შორის, International Journal of Innovative Technologies in Economy; International Journal of Economics, Business and Management Research და The European Scientific Journal (ESJ)-ში.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა: ნაშრომი შედგება 177 გვერდისაგან და მოიცავს შესავალს, 3 თავს, 12 ქვეთავს, დასკვნას და რეკომენდაციებსა და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალს. თან ერთვის დანართები ავტორის მიერ ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის შედეგებით, გაანგარიშებითი ცხრილები, სქემები, დიაგრამები, გრაფიკები და ავტორის მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების სია.

დისერტაციის I თავი ეთმობა ავტორის მიერ ჩატარებულ რაოდენობრივ კვლევას, აღწერილია კვლევის მეთოდოლოგია და შედეგები, შესაბამისი დასკვნებითა და რეკომენდაციებით და კვლევის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზით; ასევე, მოცემულია საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საპენსიო სისტემის ისტორიული რაკურსი და რაოდენობრივი კვლევის მონაწილე ქვეყნების საპენსიო სისტემების მოკლე თეორიული მიმოხილვა; II თავში შეფასებულია საქართველოში მიმდინარე საპენსიო და კაპიტალის ბაზრის რეფორმის შედეგები 2021 წლის თებერვლის მდგომარეობით და განხილულია კომპლექსური

რეფორმების ძლიერი და სუსტი მხარეები; **III თავში განხილულია** Covid-19-ის გავლენა გლობალურ და ადგილობრივ ეკონომიკასა და საპენსიო სისტემებზე; ნაშრომის **დასკვნით ნაწილში**, სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე, შემოთავაზებულია რამდენიმე თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის დასკვნები და რეკომენდაციები.

ტერმინები და აბრევიატურები

OECD - Organisation for Economic Co-operation and Development
EU – European Union
OMC - Open Method of Coordination
ILO - International Labour Organization
PAYG – Pay As You Go
DB - Defined benefits
DC - Defined Contribution
PPF - Pension Protection Fund (დიდი ბრიტანეთი)
PBGC - Pension Benefit Guaranty Corporation (აშშ)
AFP – Administrator Funds of Pension (ჩილე)
CORE - comprehensive replacement rates
LCM - life cycle model
ARP - at-risk-of-poverty rate of pensioners
MRI65+ - median relative income ratio of elderly people aged 65+
ARR - aggregated replacement ratio
S80/S20 - inequality of income distribution for people aged 65+
PE/GDP - pension expenditure
EMP55-64 - employment rate of people aged 55–64
DWL - duration of working life
dARP - gender difference in the at-risk-of-poverty rate of pensioners
dMRI - gender difference in the median relative income ratio
dARR - gender difference in the aggregated replacement ratio
PPM - Premium Pension Authority (Sweden)
CAPM – Capital Asset Pricing Model
MPT – Modern Portfolio Theory

გრაფიკები

- გრაფიკი 1**
(გვ. 30) საპენსიო დანახარჯები როგორც მშპ-ს % (OECD ქვეყნები, 1980-2017)
- გრაფიკი 2**
(გვ. 31) მოსახლეობის ზრდის პროგნოზი მსოფლიოში (1950-2100 წელი)
- გრაფიკი 3**
(გვ. 32) სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, 1950-2019 წელი;
- გრაფიკი 4**
(გვ. 33) პენსიაზე ყოფნის საშუალო ასაკი OECD ქვეყნებში, სქესის მიხედვით (1958-2050 წლები)
- გრაფიკი 5**
(გვ. 37) 65+ ასაკის ადამიანთა რაოდენობა ყოველ 100 აქტიურ სამუშაო ასაკში მყოფზე, 2020 წელი და 2060 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი
- გრაფიკი 6**
(გვ. 66) პენსიების მოცულობა საქართველოში (2004-2021 წწ)
- გრაფიკი 7**
(გვ. 70) სოციალური პენსიის მიმღებთა რაოდენობრივი ზრდის დინამიკა საქართველოში (2015-2060 წწ)
- გრაფიკი 8**
(გვ. 71) 65+ ასაკის მოსახლეობის წილი საქართველოს მთელ მოსახლეობაში
- გრაფიკი 9**
(გვ. 79) MRI მაჩვენებელი საქართველოსთვის (2010-2018 წელი)
- გრაფიკი 10**
(გვ. 80) S80/S20 მაჩვენებელი საქართველოსთვის (2010-2018 წელი)
- გრაფიკი 11**
(გვ. 102) დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეები საქართველოში (2019-2020 წ. 31 დეკემბერი)
- გრაფიკი 12**
(გვ. 105) საქართველოს საპენსიო ფონდის მოცულობა (16.01.2019-31.05.2021; მილიონი ლარი)
- გრაფიკი 13**
(გვ. 115) საქართველოს საფონდო ბირჟის კაპიტალიზაცია 2000-2008 წლებში (% წილი მშპ-ში)
- გრაფიკი 14**
(გვ. 119) სავაჭრო სესიებზე და ბირჟაზე დაფიქსირებული გარიგებების რაოდენობა საქართველოში (2010-2020 წწ)
- გრაფიკი 15**
(გვ. 124) გლობალური ეკონომიკა. რეალური მშპ-ს ზრდის პროგნოზი (% ცვლილება)
- გრაფიკი 16**
(გვ. 125) რეალური მშპ-ს ზრდა ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით (2020 წ. 2021-2022 პროგნოზი)
- გრაფიკი 17**
(გვ. 129) კრიზისზე რეაგირების ეკონომიკური სტიმულირების პაკეტი, 2020 I კვარტალი, როგორც მშპ-ს %
- გრაფიკი 18**
(გვ. 131) დასაქმებიდან მიღებული შემოსავლების შემცირების პროცენტული მაჩვენებელი 2020 წელს, რეგიონების მიხედვით


გრაფიკი 19 (გვ. 132)	სამუშაო საათების შემცირების მაჩვენებელი 2020 წლისათვის და საპროგნოზო მაჩვენებლები სამი სცენარით (2021/22 წლებში რეგიონების მიხედვით) უმუშევრობის დონე საქართველოში (2019-2020 წლები)
გრაფიკი 20 (გვ. 133)	
გრაფიკი 21 (გვ. 139)	საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი და სახელმწიფო საშინაო ვალი (ათასი ლარი)
გრაფიკი 22 (გვ. 140)	საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის მომსახურება (მილიონი აშშ დოლარი)
გრაფიკი 23 (გვ. 142)	დასაქმების მაჩვენებელი OECD-ისა და EU27 ქვეყნებში 55-64 ასაკობრივი კატეგორია; 2018 წლის IV კვარტალი -2020 III კვარტალი
გრაფიკი 24 (გვ. 155)	საქართველოს საპენსიო სისტემის ადეკვატურობის სინთეტიკური ინდიკატორის მრუდი 2010-2018 წლებში
გრაფიკი 25 (გვ. 155)	საქართველოს საპენსიო სისტემის მდგრადობის სინთეტიკური ინდიკატორის მრუდი 2010-2018 წლებში

ცხრილები

ცხრილი 1 (გვ. 75)	OMC ჩარჩო-პოლიტიკის ინდიკატორები
ცხრილი 2 (გვ. 85)	კვლევის შედეგების მიხედვით, საუკეთესო შედეგების მქონე ქვეყნების ათეული (2010 წელი)
ცხრილი 3 (გვ. 85)	კვლევის შედეგების მიხედვით, საუკეთესო შედეგების მქონე ქვეყნების ათეული (2015 წელი)
ცხრილი 4 (გვ. 86)	კვლევის შედეგების მიხედვით, საუკეთესო შედეგების მქონე ქვეყნების ათეული (2018 წელი)
ცხრილი 5 (გვ. 89)	საპენსიო სისტემის ადეკვატურობის სინთეტიკური მაჩვენებლები წლების მიხედვით

- ცხრილი 6** საპენსიო სისტემის მდგრადობის სინთეტიკური
(გვ. 90) მაჩვენებლები წლების მიხედვით
- ცხრილი 7** ადეკვატურობისა და მდგრადობის სინთეტიკური
(გვ. 91) ინდიკატორების შედარება
- ცხრილი 8** საქართველოს საპენსიო სისტემის რეფორმის მიზნები,
(გვ. 100) ქვემიზნები და ინდიკატორები
- ცხრილი 9** მთავრობების მიერ გატარებული პოლიტიკა Covid-19-ით
(გვ. 147) გამოწვეულ ეკონომიკურ შოკებზე რეაგირებისათვის,
საპენსიო სისტემების მიმართულებით
- ცხრილი 10** საპენსიო სისტემის ადეკვატურობისა და მდგრადობის
(გვ. 173) განმსაზღვრელი სტატისტიკური ინდიკატორები,
ქვეყნების მიხედვით, 2010 წელი
- ცხრილი 11** საპენსიო სისტემის ადეკვატურობისა და მდგრადობის
(გვ. 174) განმსაზღვრელი სტატისტიკური ინდიკატორები,
ქვეყნების მიხედვით, 2015 წელი
- ცხრილი 12** საპენსიო სისტემის ადეკვატურობისა და მდგრადობის
(გვ. 175) განმსაზღვრელი სტატისტიკური ინდიკატორები,
ქვეყნების მიხედვით, 2018/19 წელი

სქემა 1. საპენსიო სისტემების სახეები



წყარო: ავტორის სქემა

თავი 1. საპენსიო სისტემების ადეკვატურობისა და მდგრადობის შეფასება

საპენსიო სისტემის ეფექტიანობის შეფასების მეთოდების, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ფუნდამენტალური საკითხის ირგვლივ, დიდი დისკუსიაა მეცნიერებს შორის. რა განსაზღვრავს სისტემის წარმატებას? რა მეთოდებით შეიძლება გავზომოთ მისი ეფექტიანობა? რასთან მიმართებაში უნდა გავზომოთ პენსიის ადეკვატურობა - შემოსავლების თუ მოხმარების? რომელ მოდელს უნდა მივანიჭოთ უპირატესობა - ბისმარკისეულ თუ ბევერიჯის მოდელს? ყველაზე აქტუალური კითხვებია საპენსიო სისტემის მკვლევარ მეცნიერ-ეკონომისტებს შორის.

მოცემული თავის დასაწყისში ყურადღებას გავამახვილებთ გლობალური საპენსიო სისტემების ისტორიულ გამოწვევებზე და ასევე, საქართველოს საპენსიო სისტემის განვითარების პრობლემებზე. რის შემდეგაც გავეცნობით საპენსიო სქემების რაოდენობრივი შეფასების მეთოდებს. მოკლედ მიმოვიხილავთ არსებულ თემასთან დაკავშირებულ ლიტერატურასა და კვლევებს და განვსაზღვრავთ საქართველოში საპენსიო სისტემის ადეკვატურობა-მდგრადობას ევროპის 28 ქვეყნის საპენსიო სისტემებთან მიმართებაში 2010-2018/19 წლებისათვის.

ბოლოს, კვლევის შედეგების გათვალისწინებით, განვსაზღვრავთ თუ რა მიმართულებით შეიძლება განვითარდეს ქვეყანაში მიმდინარე საპენსიო რეფორმა მისი ეფექტიანობის გაზრდისათვის. რისი განთვალისწინება მართებს საქართველოს, ერთი მხრივ, საპენსიო სისტემის ადეკვატურობის გაზრდისა და, მეორე მხრივ, მისი მდგრადობის შესანარჩუნებლად, რაც განსაკუთრებით აქტუალური ხდება Covid-19 პანდემიით გამოწვეული გლობალური ეკონომიკური შოკების პირობებში.

1.1 საპენსიო სისტემის ადეკვატურობა და ეფექტიანობა - ლიტერატურის მიმოხილვა

ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ბევრი ქვეყნის საპენსიო სისტემის შეფასებისას ადეკვატურობის პარალელურად წინა პლანზე წამოიწია ეფექტიანობის საკითხმა. მიზეზი მარტივია - შეცვლილი დემოგრაფიული სურათისა და სხვა მეტნაკლებად მნიშვნელოვანი მიკრო და მაკროეკონომიკური პარამეტრების გამო, ბევრ ქვეყანაში გახდა აუცილებელი საპენსიო სისტემის რეფორმა. ნებისმიერი რეფორმის თანხლები კითხვა, რა თქმა უნდა, არის ის თუ რა მიმართულებით უნდა დაიგეგმოს და გატარდეს ის, რეფორმის შედეგების შეფასება კი, მისი ეფექტიანობის შეფასებას ნიშნავს.

თეორიაში გავრცელებულია საპენსიო სისტემის ეფექტიანობის ოთხი ძირითადი მიმართულებით განხილვა:

1. მშპ-ს განაწილება (GDP-distribution);
2. პენსიის ადეკვატურობა (Adequacy of pension);
3. გავლენა დასაქმების ბაზარზე (Influence on the labour market);
4. ადმინისტრაციული დანახარჯების დონე (Administrative costs).

მეცნიერთა ნაწილი საპენსიო სისტემის ეფექტიანობას განიხილავს, როგორც მთავარ მახასიათებელს სისტემის შეფასებისთვის. თუმცა ძალიან რთულია ჯეროვანი განმარტება მოუძებნო ტერმინ „ეფექტიანობას“ მაკრო დონეზე. როგორც წესი, ავტორები განიხილავენ ბევრ ფაქტორს, რომელიც გავლენას ახდენს საპენსიო სისტემის ეფექტიანობაზე და, თავის მხრივ, საპენსიო სისტემის გავლენაზე ეკონომიკასა და დასაქმების ბაზარზე. მეცნიერთა შორის, რომლებიც ამ საკითხზე კვლევებს გვთავაზობენ, არიან Hayek (1960)³; Boldrin და Montes (2009)⁴; Breyer და

³ Hayek, F. (1960). The constitution of liberty. Chicago: University of Chicago Press.

⁴ Boldrin, M., & Montes, A. (2009). Assessing the efficiency of public education and pensions. Journal of Population Economics, 22(2), 285–309.

Kolmar (2002)⁵; Fenge და von Weizsäcker (2010)⁶ და Le Garrec (2014)⁷. Weizsäcker (2003)⁸ ერთმანეთს ადარებს ჰაიეკის, ბისმარკისა და ბევერიჯის მოდელებზე დაფუძნებულ საპენსიო სისტემებს და ცდილობს უკეთესს მიაგნოს მათ შორის. Ayede (2010)⁹ იკვლევს ასაკიანი მოსახლეობის ქცევას pay-as-you-go (PAYG) სისტემის ფარგლებში. Breyer და Kolmar იკვლევენ სამუშაო ბაზრის გავლენას PAYG სისტემის შიგნით. Wrede (1998)¹⁰ იკვლევს PAYG სისტემის პარეტოეფექტიანობის საკითხებს. Hansen და Lonstrup (2009)¹¹ აანალიზებენ თუ რომელი შეიძლება იყოს ოპტიმალური საპენსიო ასაკი, როგორც ქალების, ასევე მამაკაცების ჯგუფებისთვის.

რაც შეეხება **ადეკვატურობას**, ის საპენსიო სისტემის მდგრადობის მაჩვენებელთან ერთად, განსაზღვრავს თუ რამდენად ეფექტიანია საბოლოო ჯამში საპენსიო სისტემა. მის ყველაზე გავრცელებულ საზომს წარმოადგენს **ჩანაცვლების კოეფიციენტი**, რომლის ყველაზე გავრცელებული განმარტება შემდეგია - კოეფიციენტი, რომელიც ასახავს პენსიაზე გასვლამდე არსებული შემოსავლის პროცენტს, რომელსაც პენსიონერი პენსიაზე გასვლის შემდეგ იღებს საპენსიო შემოსავლის სახით. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ჩანაცვლების კოეფიციენტი მოიცავს მხოლოდ ერთ მაჩვენებელს, კერძოდ, მოხმარების ერთგვაროვან გადანაწილებას (consumption smoothing). მაშინ როცა, საპენსიო სისტემის ადეკვატური შეფასებისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია სხვა მაჩვენებლები და ცვლადები, მაგალითად **პენსიონერების სიღარიბისგან დაცვის მაჩვენებელი**. Biggs და

⁵ Breyer, F., & Kolmar, M. (2002). Are national pension systems efficient if labor is (im)perfectly mobile? *Journal of Public Economics*, 83(3), 347–374.

⁶ Fenge, R., & von Weizsäcker, J. (2010). Mixing Bismarck and child pension systems: An optimum taxation approach. *Journal of Population Economics*, 23(2), 805–823.

⁷ Le Garrec, G. (2014). Increased longevity and social security reform: Questioning the optimality of individual account when education matters. *Journal of Population Economics*. doi:10.1007/s00148-014-0522-z .

⁸ Weizsäcker, J. (2003). The Hayek Pension. An efficient minimum pension to complement the welfare state. CESifo working paper no. 1064.

⁹ Ayede, Y. (2010). Generational selfishness and social security: A time-inconsistency problem in parametric reforms of PAYG. *Journal of Economic Policy Reform*, 13(2), 179–190.

¹⁰ Wrede, M. (1998). Pareto efficiency of the pay-as-you-go pension system in a three-period-OLG model. BERG working paper series 27, University of Bamberg.

¹¹ Hansen, C., & Lonstrup, L. (2009). The optimal legal retirement age in OLG model with endogenous labour supply. Discussion papers on business and economics no. 5/2009.

Springstead¹² (2008) ანალიზებენ პენსიის ადეკვატურობას მხოლოდ ჩანაცვლების კოეფიციენტის საფუძველზე და მათი ანალიზის შედეგები ადასტურებს, რომ ჩანაცვლების კოეფიციენტი შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ინდიკატორის კონსტრუქციიდან გამომდინარე და, დიდწილად, დამოკიდებულია ინდივიდის პენსიაზე გასვლამდე არსებული შემოსავლების სახეებსა და დონეზე.

ანალოგიურად, Holzmann-მა და Guven-მა¹³ (2009) გამოიკვლიეს ჩანაცვლების კოეფიციენტი, რომელიც განმარტეს, როგორც „სასარგებლო მაჩვენებელი საპენსიო განაცემების ადეკვატურობის გასაზომად, რადგან ის გამოხატავს პენსიაზე გასვლამდე არსებულ შემოსავალთან მიმართებაში საპენსიო სისტემის სარგებელს, რომელიც განსაზღვრავს შემოსავლის დონეს, რომლის მიხედვითაც პენსიაზე გასვლამდე არსებული შემოსავლის ჩანაცვლება ხდება“. ისინი ასევე იყენებენ საპენსიო ანარიცხის ინდექსაციის მეთოდს (The Mandatory Provident Fund Schemes Authority (2010)¹⁴ და განიხილავენ ჩანაცვლების კოეფიციენტის დივერსიფიკაციის მნიშვნელობას. მათ ნაშრომში განხილულია პენსიის ადეკვატურობის ანალიზის ორი მიდგომა: ერთი დაფუძნებულია ჩანაცვლების მიზნობრივ მაჩვენებლებზე და მეორე, ბიუჯეტირებაზე. ჩანაცვლების მიზნობრივი მაჩვენებელი ჩანაცვლების კლასიკური კოეფიციენტისგან განსხვავებით, ძირითადად, ითვალისწინებს პენსიონერების მატერიალურ საჭიროებებს, როგორც მიზნობრივი ჩანაცვლების განაკვეთის განსაზღვრის საფუძველს. ის განისაზღვრება, როგორც ჩანაცვლების პროცენტი, რომელიც პენსიაზე გასვლის დროს აუცილებელია პენსიონერისათვის ცხოვრების იგივე სტანდარტის შესანარჩუნებლად, რაც მას ჰქონდა სამუშაო წლების განმავლობაში. ამასთან, ამ მაჩვენებლის ხარვეზია, ის რომ ზომავს პენსიონერთა სასურველ და არა რეალურ შემოსავალს პენსიაზე გასვლის შემდეგ. ხოლო საბიუჯეტო მიდგომა ითვალისწინებს

¹² Biggs, A. G., & Springstead, G. R. (2008). Alternate measures of replacement rates for social security benefits and retirement income. *Social Security Bulletin*, 68(2), 1–19.

¹³ Holzmann, R., & Guven, U. (2009). Adequacy of retirement income after pension reforms in Central, Eastern, and Southern Europe: Eight country studies. Washington, DC: The World Bank.

¹⁴ Mandatory Provident Fund Schemes Authority. (2010). Approaches to measurement of retirement costs.

http://www.mpfa.org.hk/tch/information_centre/publications/research_reports/files/Approaches_to_Measurement_of_Retirement_Costs.pdf

იმ ხარჯებს, რომელთა დახარჯვასაც საპენსიო პერიოდში გვემავენ პენსიონერები. ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია ითვალისწინებს საბიუჯეტო სტანდარტის შემუშავებას. საბიუჯეტო მიდგომას იყენებენ ასევე Mutchler, Shih, Lyu, Bruce და Gottlieb ¹⁵ (2014 წ.), რომელთაც შეიმუშავეს ხანდაზმულთა ეკონომიკური უსაფრთხოების სტანდარტის ინდექსი (Elder Economic Security Standard Index), რომელიც განსაზღვრავს ხანდაზმული ოჯახების ცხოვრებისთვის საჭირო ძირითად ხარჯებს.

Cole-სა და Liebenberg-ის (2008) ¹⁶ მიერ გამოყენებულია შემოსავალსა და მოხმარებაზე დაფუძნებული საპენსიო ადეკვატურობის ანალიზი. ისინი პენსიონერთა შემოსავლის დონეს უკავშირებენ პენსიონერების მოხმარების დონეს ორი ინდიკატორის გამოყენებით: შემოსავლისა და მოხმარების ჩანაცვლების კოეფიციენტებით. Hurd და Rohwedder (2008) ¹⁷ საკუთარ კვლევებში ავითარებენ მტკიცებას, რომ მოხმარების ადეკვატურობა უფრო მნიშვნელოვანია შემოსავლის ადეკვატურობასთან შედარებით. Borella-მ და Fornero-მ¹⁸ (2009) ჩაატარეს 12 ქვეყნის საპენსიო სისტემის ადეკვატურობის შედარებითი ანალიზი. მათი კვლევა ითვალისწინებს ჩანაცვლების ყოვლისმომცველი განაკვეთის (comprehensive replacement rates (CORE)) შესწავლას. ეს უკანასკნელი დაფუძნებულია პენსიაზე გასვლის შემდეგ ცხოვრების დონის ფარდობით მაჩვენებელზე ცხოვრების იმ დონესთან მიმართებაში, რომელიც ადამიანს ჰქონდა პენსიაზე გასვლამდე. ამასთან, ისინი აქცენტს აკეთებენ პენსიის ადეკვატურობის მხოლოდ ერთ განზომილებაზე, რადგან CORE ვრცელდება მხოლოდ მოხმარების ერთგვაროვანი განაწილების ოპტიმალური მაჩვენებლის დონეზე.

¹⁵ Mutchler, J. E., Shih, Y., Lyu, J., Bruce, E. A., & Gottlieb, A. (2014). The elder economic security standard index™: A new indicator for evaluating economic security in later life. Social Indicators Research, . doi:10.1007/s11205-014-0577-y

¹⁶ Cole, C.R., & Liebenberg, A.P. (2008). An Examination of retirement income adequacy measures and factors affecting retirement preparedness. <http://ssrn.com/abstract=1272067>

¹⁷ Hurd, M.D., & Rohweder, S. (2008). The adequacy of economic resources in retirement, Michigan Retirement Research Center, Working Paper WP 2008-184.

¹⁸ Borella, M., & Fornero, E. (2009). Adequacy of pension systems in Europe: An analysis based on comprehensive replacement rates. ENPRI Research Report No. 68. <http://aei.pitt.edu/10967/1/1837>

Guisso, Japelli და Padula¹⁹ (2009) ჩანაცვლების კოეფიციენტს განსაზღვრავენ, როგორც „საპენსიო კეთილდღეობის სინთეტიკურ ინდიკატორს“. ადეკვატურობის უფრო ფართო განხილვა აქვთ წარმოდგენილი Hurd-სა და Rohwedder-ს²⁰ (2008). ისინი მიიჩნევენ, რომ პენსიის ადეკვატურობა, უპირველეს ყოვლისა, განხილული უნდა იყოს ინდივიდუალური კეთილდღეობის თვალსაზრისით და, რომ აბსოლუტური ან ფარდობითი მნიშვნელობებით გამოხატული შემოსავალი (მაგალითად, ჩანაცვლების კოეფიციენტი) არ წარმოადგენს ჯეროვან საზომს. ისინი განიხილავენ სიმდიდრეს, როგორც კეთილდღეობის საზომს. პენსიაზე გასვლის სამზადისს კი განმარტავენ, როგორც ინდივიდის ეკონომიკური რესურსების ინვენტარიზაციას და აღარებენ მოხმარების ოპტიმალურ გზას. მიუხედავად იმისა, რომ არ ემყარება მხოლოდ შემოსავლის მაჩვენებელს, ეს მიდგომა მაინც ეხება მხოლოდ ინდივიდის განკარგულებაში არსებულ რესურსებს და ნაკლებად განიხილავს საპენსიო სისტემის მაკროეკონომიკურ მასშტაბებს.

საპენსიო სისტემის ერთ-ერთი მთავარი მაკროეკონომიკური მომენტი მშპ-ს განაწილებაა აქტიურ სამუშაო ასაკში მყოფ თაობასა და დანარჩენ მოსახლეობას, მათ შორის პენსიონერებს, შორის. ეს ნიშნავს იმას, რომ დღევანდელი პენსიონერის შემოსავალი დამოკიდებულია, ერთი მხრივ ცხოვრების ციკლის განმავლობაში მისი შემოსავლის ალოკაციის დონეზე და, მეორე მხრივ, მიმდინარე მშპ-ზე და მის გადანაწილებაზე თაობათა შორის. როდესაც საპენსიო სისტემის ადეკვატურობას ვაფასებთ ეს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ. საპენსიო სისტემის ადეკვატურობის შეფასება ასევე მოითხოვს შემოსავლის შესაბამის გაზომვას, სიღარიბის და შემოსავლის უთანასწორო განაწილებას და სიღარიბეს გენდერულ ჭრილში. ეს ინდიკატორები მნიშვნელოვანია შევისწავლოთ, როგორც პენსიონერების თაობისათვის, ასევე სამუშაო ასაკში მყოფი მოსახლეობისთვისაც, იმისათვის რომ კომპლექსურად გავაანალიზოთ საპენსიო სისტემის მდგრადობა და ეფექტიანობა.

¹⁹ Guisso L., Japelli T., Padula M. (2009) 'Pension Risk, Retirement Saving and Insurance', Centre for Studies in Economics and Finance, Working Paper No. 223, Naples, Italy.

²⁰ Hurd M.D., Rohwedder S. (2008) 'The Adequacy of Economic Resources in Retirement', MRRC-Working Paper No. 2008-184.

როგორც ვხედავთ, მეცნიერ-ეკონომისტთა შორის აქტუალურია კითხვა თუ როგორ უნდა შეფასდეს საპენსიო სისტემის ადეკვატურობა - შემოსავლების ადეკვატურობის, მოხმარების ადეკვატურობისა თუ ორივე მაჩვენებლის მიხედვით? მეორეს მხრივ, საინტერესოა, სიბერეში პენსიონერის უფრო მაღალი ფინანსური კმაყოფილება და კეთილდღეობა შეიძლება იყოს მის მიერ დაგროვილი სიმდიდრის და არა საპენსიო სისტემის ჯეროვანი ფუნქციონირების შედეგი თუ არა?!

ამ კითხვებიდან გამომდინარე, პენსიის ადეკვატურობის ანალიზისას შეიძლება გამოიყოს ორი მიდგომა: პირველი მოიცავს საპენსიო შემოსავალს, რომელიც უნდა ასახავდეს სიცოცხლის ციკლის განმავლობაში შემოსავლის განაწილების დონეს. სწორედ ამ მიდგომით გამოყენებული პენსიის ადეკვატურობის მთავარი საზომია, ჩვენ მიერ ზემოთ განხილული, ჩანაცვლების კოეფიციენტი. მეორე მულტიფუნქციური მიდგომა, გარდა შემოსავლისა, ასევე ითვალისწინებს მინიმუმ კიდევ ერთ ცვლადს, კერძოდ, პენსიონერთა სიღარიბის მაჩვენებელს. ზოგჯერ, შემოსავლის მაჩვენებლის ჩანაცვლდება ხდება (ან მას ემატება) მოხმარების მაჩვენებელი. ამ შემთხვევაში პენსიის ადეკვატურობის დამატებითი საზომი ხდება პენსიონერის ან მისი ოჯახის ხარჯების მაჩვენებელიც. კომპლექსურობიდან გამომდინარე, ქვემოთ მოცემულ კვლევაში ჩვენ სწორედ მულტიფუნქციურ მიდგომას ვიყენებთ და საქართველოს, დიდი ბრიტანეთისა და EU27 ქვეყნების საპენსიო სისტემების შესაფასებლად არა ერთ (ამ შემთხვევაში ჩანაცვლების კოეფიციენტს), არამედ შვიდ ინდიკატორს განვიხილავთ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მაკრო მასშტაბით, ჩანაცვლების კოეფიციენტი წარმოადგენს მიმდინარე მშპ-ს განაწილების ინსტრუმენტს პენსიონერთა თაობასა და დასაქმებულთა თაობას შორის (Go'ra 2008)²¹. ამ მიდგომას ასევე იზიარებენ Barr და Diamond (2006),²² რომლებიც მიიჩნევენ, რომ მომავალ მშპ-ს მაჩვენებელს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საპენსიო სისტემის ანალიზში, ვინაიდან მომავალი პენსიონერების მოხმარება წარმოიქმნება იმით, რასაც მომავალში სამუშაო ძალა,

²¹ Go'ra, M. (2008). Retirement decisions, benefits and the neutrality of pension systems. ENEPRI Research Report No. 51

²² Barr, N., & Diamond, P. (2006). The economics of pensions. Oxford Review of Economics Policy, 22(1), 15–39.

ძირითადად, მათი შვილები და შვილიშვილები ქმნიან. ინდივიდუალური ადამიანის თვალსაზრისით, ანუ მიკრო მასშტაბით, საპენსიო სისტემა წარმოადგენს სიცოცხლის ციკლის განმავლობაში მიღებული შემოსავლის განაწილების საშუალებას, სიცოცხლის მთელ ციკლზე - აქტიური სამუშაო ასაკიდან დაწყებული სიბერის პერიოდით დამთავრებული (Barr 1987;²³ Barr და Blake 2006²⁴). ამრიგად, საპენსიო სისტემის მიკრო მასშტაბის განსაზღვრის თეორიული საფუძვლები მოხმარებისა და დაზოგვის თეორიიდან გამომდინარეობს, მათ შორისაა ცხოვრების ციკლის მოდელი (life cycle model (LCM)), რომელიც შემოთავაზებულია Modigliani და Brumberg-ის (1954)²⁵ მიერ, ასევე მნიშვნელოვანია Ando-ს, Modigliani-სა (1963)²⁶ და ფრიდმანის მუდმივი შემოსავლის ჰიპოთეზა (permanent income hypothesis) (Friedman 1957)²⁷. ორივე ჰიპოთეზის საერთო მახასიათებელია მოხმარების ერთგვაროვანი განაწილება ინდივიდუალურ დონეზე, როდესაც მოხმარების შესახებ გადაწყვეტილებებს ადამიანი ინდივიდუალურ დონეზე იღებს მომავალი ეკონომიკური მოლოდინების, მათ შორის, შემოსავლის გათვალისწინებით. საპენსიო სისტემის ადეკვატურობის შესახებ მსჯელობისას ასევე მნიშვნელოვანია დანაზოგების ნორმის განსაზღვრა საპენსიო სისტემაში (ჩუთლაშვილი, 2018)²⁸ და სისტემის სოციალური ანალიზი (უროტაძე, 2016)²⁹. მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერებისა და საპენსიო სისტემის ოპტიმიზაციის პრობლემებს იკვლევენ არჩვაძე ი. და არჩვაძე ნ. (2012)³⁰.

ზემოთ მოცემული მსჯელობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია

²³ Barr, N. (1987). The economics of welfare state. London: Weidenfeld and Nicholson.

²⁴ Blake, D. (2006). Pension economics. West Sussex: Wiley.

²⁵ Modigliani, F., & Brumberg, R. (1954). Utility analysis and the consumption function: An interpretation of cross-section data. In K. Kurihara (Ed.), Post keynesian economics (pp. 388–436). New Brunswick: Rutgers University Press.

²⁶ Ando, A., & Modigliani, F. (1963). The life cycle hypothesis of saving: Aggregate implications and tests. American Economic Review, 53(1), 55–84.

²⁷ Friedman, M. (1957). A theory of consumption function. Princeton: Princeton University Press.

²⁸ ჩუთლაშვილი ა., დანაზოგების ნორმა და ცვლილებები საპენსიო სისტემაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2018, გვ. 577-581

²⁹ უროტაძე ჯ., ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ელექტრონული სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალი ("ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი" <http://jyr.tsu.ge/>), #3. 2016, E ISSN: 2346-7754, გვ. 63-64

³⁰ არჩვაძე, ი., არჩვაძე, ნ. (2012). მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება და საპენსიო სისტემის ოპტიმიზაციის პრობლემები. თბილისი: მერიდიანი.

განვიხილოთ, არამხოლოდ ის თუ რამდენად ადეკვატურია პენსია, რომელსაც საპენსიო სისტემა უზრუნველყოფს ამა თუ იმ ქვეყნის მოქალაქეებისთვის, არამედ რამდენად ადეკვატურია პენსიონერების შემოსავალი ზოგადად (სხვა შემოსავლებს პლიუს პენსია). ვინაიდან ზოგიერთი საპენსიო სისტემა პენსიონერებს მაღალი სოციალური პენსიით უზრუნველყოფს, მაგრამ პარალელურად ულობავს გზას სხვა შემოსავლებისკენ (საინვესტიციო საქმიანობა, სამსახური და ა.შ.). სხვა საპენსიო სისტემამ პირიქით, დაბალი საპენსიო ანარიცხების გაცემის პირობებში, შეიძლება უზრუნველყოს პენსიონერებისთვის ადვილი ხელმისაწვდომობა სხვა სახის შემოსავლებზე, მათ შორის დასაქმების გზით მიღებულ შემოსავალზე. ასეთი განსხვავებული საპენსიო სისტემების პირობებში, ცხადია რომ საპენსიო სისტემის ადეკვატურობაზე ვერაფერს გვეტყვის მხოლოდ ჩანაცვლების კოეფიციენტი.

მაგალითად, გავაანალიზოთ ეს მიდგომა ორი - „ა“ და „ბ“ ქვეყნის მაგალითზე. დაუშვათ, რომ „ა“ ქვეყანაში სიღარიბის დონე პენსიონერთა შორის არის 20%, „ბ“ ქვეყანაში 25%. მხოლოდ ამ მონაცემებზე დაყრდნობით, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ საპენსიო სისტემა „ა“ ქვეყანაში სიღარიბის კუთხით უფრო ადეკვატურია. თუმცა თუ გავაკეთებთ დაშვებას, რომ „ა“ ქვეყანაში პროფესიულად აქტიურ მოსახლეობის ჯგუფში სიღარიბის განაკვეთი არის 25%, ხოლო „ბ“ ქვეყანაში 20% - მივალთ დასკვნამდე რომ „ა“ ქვეყანაში სიღარიბის პროცენტი მცირდება პენსიაზე გასვლის შემდეგ, მაშინ როდესაც „ბ“ ქვეყანაში ის იზრდება. ასე რომ ჩვენი დასკვნა ორი ქვეყნის საპენსიო სისტემის ადეკვატურობასთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს. ამის გამო, ჩანაცვლების ინდიკატორის პარალელურად, რომელიც მნიშვნელოვანი მაჩვენებელია პენსიაზე გასული თაობისთვის, ასევე მნიშვნელოვანია გამოვიყენოთ საზომები, რომელიც აღწერს კონკრეტული მაჩვენებლების მიმართებას პენსიონერ და დასაქმებულ თაობას შორის. რადგან საპენსიო სისტემა არ ფუნქციონირებს ეკონომიკისა და სოციალური პოლიტიკისგან განყენებულად. ეს კარგად ჩანს ჩვენი კვლევის შედეგად მიღებული სინთეტიკური ინდიკატორების ანალიზის შემდეგაც, რომელსაც უფრო დანვრილებით ქვემოთ განვიხილავთ.

საერთაშორისო ორგანიზაციების განმარტებები საპენსიო სისტემის ადეკვატურობასთან დაკავშირებით

როგორც არ უნდა განვსაზღვროთ საპენსიო სისტემა და მისი ფუნქციები, ეჭვგარეშეა, რომ სისტემის მთავარი მიზანი პენსიონერისათვის საპენსიო პერიოდში ადეკვატური შემოსავლის უზრუნველყოფაა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს საპენსიო სისტემის ანალიზისთვის ჩვენ კვლევაში მრავალფუნქციურ მიდგომას გამოვიყენებთ, რომელიც დაფუძნებულია საპენსიო სისტემის მაკროფუნქციაზე, კერძოდ, შემოსავლის გადანაწილებაზე სიცოცხლის მთელი ციკლის განმავლობაში. მსგავსი მეთოდით საპენსიო სისტემების შეფასების ფართოდ დანერგვა დაიწყო ევროპის ქვეყნებში ევროკავშირის ჩარჩო პოლიტიკის ფარგლებში - **Open Method of Coordination (OMC)**³¹, რომლის ინდიკატორების ბაზაზეც არის დაფუძნებული ჩვენ მიერ ჩატარებული რაოდენობრივი გამოკვლევა.

პენსიის ადეკვატურობის გაზომვის მიდგომები, რომელსაც მკვლევართა უმეტესობა გვთავაზობს და ზემოთ განვიხილეთ, არასრულია მსოფლიო ბანკისა და ევროკომისიის მიდგომებთან შედარებით. კერძოდ, ისინი უგულებელყოფენ რამდენიმე ასპექტს, მათ შორის, პირველ რიგში, პენსიონერთა სიღარიბის დონეს, მათი შემოსავლის ცვალებადობასა და თაობებს შორის სოლიდარობას. ადეკვატურობისა და მისი გაზომვის მიდგომა, რომელიც წარმოდგენილია ზემოთ ციტირებულ პუბლიკაციებში, უმეტესად არის ერთგანზომილებიანი, რადგან იგი ეფუძნება მხოლოდ შემოსავალს ან ქონებას, რომელსაც ფლობს ინდივიდი. სინამდვილეში, საპენსიო სისტემის მიზნების კონტექსტში, მისი ადეკვატურობის შეფასებისათვის, მრავალგანზომილებიანი მიდგომა უფრო შესაფერისია. მხოლოდ

³¹ OMC არის ევროკავშირის პოლიტიკის ჩარჩო, რომელიც მართალია საკანონმდებლო დონეზე მარეგულირებელ ნორმებს არ წარმოადგენს, თუმცა მიზნად ისახავს წევრ სახელმწიფოებში პოლიტიკის ამა თუ იმ მიმართულებით (მათ შორის საპენსიო სისტემების მართვა) საუკეთესო პრაქტიკის დანერგვასა და მთავრობებისათვის კოორდინირებული პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობას. (<https://www.europarl.europa.eu/EPRS/EPRS-AaG-542142-Open-Method-of-Coordination-FINAL.pdf>).

ჩანაცვლების კოეფიციენტმა და მისმა გაანალიზებამ, განსაკუთრებით თუ იგი მხოლოდ საპენსიო განაცემებს ემყარება, შეიძლება გამოიწვიოს ცრუ დასკვნები. ეს იმიტომ, რომ დღევანდელ პენსიონერებს შეუძლიათ მიიღონ შემოსავალი ბევრი განსხვავებული წყაროდან, სამუშაოსა და კაპიტალური ინვესტიციების ჩათვლით. ეს გავლენას ახდენს მათ მთლიან შემოსავალზე და, შესაბამისად, ცხოვრების სტანდარტზე. ამიტომ საპენსიო სისტემის ადეკვატურობის მხოლოდ პენსიების დადგენილი ოდენობით შეფასება, 21-ე საუკუნეში არსებული გლობალური პირობების გათვალისწინებით, უშედეგოა.

საპენსიო სისტემის მიზნებზე საუბრობენ Holzmann და Hinz (2005)³² „მსოფლიო ბანკის“ მიერ გამოქვეყნებულ კვლევაში. ისინი მიუთითებენ, რომ საპენსიო სისტემა უნდა იყოს მექანიზმი, „რომელიც უზრუნველყოფს სარგებელს მთელი მოსახლეობისთვის, რაც საკმარისია ასაკობრივი სიღარიბის თავიდან ასაცილებლად ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინებით. გარდა ამისა, იქნება საიმედო საშუალება მოსახლეობის უმეტესობისთვის, რათა მათ შეძლონ მოხმარების ერთგვარი გადანაწილება სიცოცხლის მთელი ციკლის განმავლობაში“. ამ მიზნების მისაღწევად, პირველ რიგში, პენსიონერებში სიღარიბის პრევენცია და სისტემაში ისეთი ინსტრუმენტების შემუშავებაა, რაც საშუალებას მისცემს ადამიანს შემოსავლი სწორად გაანაწილოს მთელი ცხოვრების განმავლობაში.

ევროკავშირის OMC ჩარჩო პოლიტიკა საპენსიო სისტემის პირველ მიზნად განსაზღვრავს პენსიების ადეკვატურობას, რომელიც მოიცავს შემდეგ საფეხურებს:³³

- **სოციალური გარიყულობის თავიდან აცილება**, რაც გულისხმობს შემდეგს: „ხანდაზმული ადამიანები სიღარიბის საშიშროების ქვეშ არ არიან და მათ შეუძლიათ ჰქონდეთ ცხოვრების განსაზღვრული სტანდარტი; ისინი ინაწილებენ ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობას და, შესაბამისად, შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში“.

³² Holzmann, R., R. Hinz (2005) ‘Old-Age Income Support in the Twenty-first Century: An International Perspective on Pension Systems and Reform’, Web Version of 18 February 2005, World Bank

³³ European Commission (2003) „Adequate and sustainable pensions“, Luxembourg

- **ცხოვრების დონის შენარჩუნების შესაძლებლობა**, რაც ნიშნავს შემდეგს: „შესაბამის საპენსიო სისტემის საშუალებით (იქნება ეს სახელმწიფო თუ კერძო), უზრუნველყონ ყველა ინდივიდი პენსიით, რომელიც საშუალებას მისცემს მას, პენსიაზე გასვლის შემდეგ შეინარჩუნოს ცხოვრების გარკვეული დონე“.
- **სოლიდარობის ხელშეწყობა თაობებს შორის და თაობებს შიგნით.**

„მსოფლიო ბანკისა“ და ევროკომისიის მიდგომები საპენსიო სისტემის ადეკვატურობის საკითხისადმი ძალიან ჰგავს ერთმანეთს და, ძირითადად, ერთსა და იმავე მიზნებს მოიცავს, იმ განსხვავებით, რომ ევროკომისია მიზნებს შორის ასევე ასახელებს თაობებს შორის და თაობას შიგნით სოლიდარობას, რაც სინამდვილეში შეიძლება განვიხილოთ, არა როგორც მიზანი, არამედ ინსტრუმენტი, სხვა მიზნის (ხანდაზმულთა სოციალური გარიყვის პრევენცია) მისაღწევად. აღსანიშნავია, რომ საპენსიო სისტემების მიზნები, რომლებიც ორივე საერთაშორისო ორგანიზაციამ განსაზღვრა, გამოხატავს მრავალგანზომილებიან მიდგომას საპენსიო სისტემის ადეკვატურობის შეფასებისადმი. მართალია, ისინი, ძირითადად, პენსიის ოდენობაზე აკეთებენ აქცენტს (რომელმაც უნდა უზრუნველყოს ცხოვრების შესაბამისი დონე, მინიმუმ სიღარიბის ზღვარს ზემოთ), მაგრამ ასევე ხაზს უსვამენ სიცოცხლის ციკლის განმავლობაში შემოსავლის ჯეროვანი გადანაწილების ინსტრუმენტების უზრუნველყოფის აუცილებლობას.

„შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია“ (ILO) განსაზღვრავს, რომ საპენსიო სისტემის მიზანია, პენსიონერი სიცოცხლის ბოლომდე უზრუნველყოს ადეკვატური ცხოვრების დონით, რომელიც აღემატება სიღარიბის ზღვარს. უფრო მეტიც, საპენსიო სისტემა უნდა იყოს საყოველთაო და არ იყოს დისკრიმინაციული გენდერულ ჭრილში (Grech 2013)³⁴. „შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის“ განმარტება დამატებით ითვალისწინებს გენდერთან დაკავშირებულ ადეკვატურობის მაჩვენებელს, სადაც ნათქვამია, რომ საპენსიო სისტემის ერთ-ერთი მიზანია საპენსიო შეღავათების გათვალისწინებით ქალებისა და მამაკაცების დისკრიმინაციის აღკვეთა. ევროკომისია საპენსიო სისტემის ადეკვატურობასთან დაკავშირებული მიზნების

³⁴ Grech, A. (2013). How best to measure pension adequacy. Centre for analysis of social exclusion. London: London School of Economics.

განსაზღვრისას გენდერული დისკრიმინაციის საკითხს აკუთვნებს OMC მიზნების მესამე ჯგუფს - საპენსიო სისტემების მოდერნიზაციას (European Commission 2003).

ლუქსემბურგი - საჯარო საპენსიო სქემა შედგება ძირითადი ნაწილისა და გამომუშავებაზე დაფუძნებული ნაწილისაგან. საპენსიო ასაკი შეადგენს 65 წელს, მათთვის ვისაც საპენსიო ფონდში კონტრიბუცია განხორციელებული აქვს მინიმუმ 120 თვის განმავლობაში. ასევე შესაძლებელია პენსიაზე ნაადრევად გასვლა, 60 წლის ასაკში იმ შემთხვევაში თუ ადამიანს კონტრიბუცია განხორციელებული აქვს მინიმუმ 480 თვის განმავლობაში. ლუქსემბურგის საპენსიო სისტემის ჩანაცვლების კოეფიციენტი ერთ-ერთი ყველაზე მაღალია OECD-ის ქვეყნებს შორის, სადაც პენსიონერის თვიურმა პენსიამ 8300 ევროსაც კი შეიძლება მიაღწიოს (2019 წლისთვის). ამასთანავე, პენსიონერი იღებს ფინანსურ მონაწილეობას ჯანდაცვის დაზღვევის სქემაში და იხდის გადასახადებს. მაღალი საპენსიო ანარიცხების პარალელურად, რაც ქვეყნის საპენსიო სისტემის აღეკვატურობას მაღალ ნიშნულზე აყენებს, ნაკლებად მდგრადია სისტემის ფინანსური სტაბილურობა, რის შესახებაც ლუქსემბურგის მთავრობას რეკომენდაციებს OECD და ევროკომისიის წამორმადგელებიც აძლევენ. საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების მიხედვით, ცვლილებები უნდა გატარდეს საპენსიო ასაკის გაზრდისა და პენსიების შენატანებთან მიმართებაში ინდექსაციის მიმართულებით.

უნგრეთი - ქვეყანამ მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, სამ სვეტიანი საპენსიო სისტემის დანერგვა 1997 წელს დაიწყო, რომლის მთავარი მიზანი იყო სრულად შენატანებზე დაფუძნებული სავალდებულო მეორე სვეტის შემოღება. დღეისათვის პირველის სვეტი წარმოადგენს სავალდებულო სახელმწიფო პენსიას (PAYG), როგორც სოციალური სისტემის ნაწილს. მეორე სვეტი შედგება კერძო დაგროვებითი ფონდებისგან, რომელიც 2010 წლამდე იყო სავალდებულო. მესამე სვეტი არის ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო ფონდები,

რომელიც თავის მხრივ ოთხ ნაწილად იყოფა: ა) დამატებითი კერძო საპენსიო ფონდები; ბ) პენსიაზე გასვლამდე დამზოგველი ანგარიშები; გ) პროფესიული საპენსიო სქემები და დ) კერძო სადაზღვევო პროდუქტების ნაწილი საპენსიო სქემები. OECD-ის ანგარიშის მიხედვით, რომელიც 2019 წელს გამოქვეყნდა (2019 Economic Survey of Hungary) იმ შემთხვევაში თუ უნგრეთი საჭირო რეფორმებს არ გაატარებს, მომავალი 50 წლის განმავლობაში ასაკზე დამოკიდებულების კოეფიციენტი გაორმაგდება, შესაბამისად გაიზრდება დანახარჯები საპენსიო სისტემასა და ჯანდაცვაზე. ხელფასების უთანასწორო ზრდისა და შემოსავლებს შორის დიდი განსხვავების პირობებში, ქვეყანაში ასევე მწვავედ დგას პენსიონერთა შორის შემოსავლების უთანასწორობის საკითხი, რის შედეგადაც პენსიონერთა დაახლოებით 20% უნგრეთში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს (OECD, 2019).

მალტა - საპენსიო სისტემა სრულად ეფუძნება გადანაწილებით საპენსიო სქემას. არ არსებობს ტრადიციული სამ სვეტიანი სისტემის მეორე სვეტი, ხოლო 2014 წლისათვის ქვეყნის პარლამენტმა მხარი დაუჭირა მესამე სვეტის შემოღებას, თუმცა მის ჯეროვან ამოქმედებას რამდენიმე წელი დასჭირდება. მალტისათვის დიდ პრობლემას წარმოადგენს სამთავრობო დანახარჯების დიდი წილი სოციალურ ხარჯებში. 2019 წლის პირველი 6 თვის განმავლობაში სოციალური ბენეფიტების მოცულობამ 512 მილიონ ევროს მიაღწია, საიდანაც მხოლოდ პენსიების ხარჯის ზრდამ 13.1 მილიონი ევრო შეადგინა⁴¹. არსებული გათვლებით, 2060 წლისათვის საპენსიო ხარჯების მოცულობა მშპ-თან მიმართებაში 3.4%-ით გაიზრდება მალტაში, რაც საგანგაშო მაჩვენებელია. მართალია, მალტის საპენსიო სისტემა მეტნაკლებად იცავს პენსიონერებს სიღარიბისაგან, თუმცა ძალიან დაბალია ჩანაცვლების კოეფიციენტი.

ნიდერლანდები - საპენსიო სისტემის დიზაინი დაფუძნებულია სამ, ერთმანეთთან მკვეთრად დაკავშირებულ სქემაზე. სისტემა შედგება სამი სვეტისგან - სახელმწიფო პენსიისგან, პროფესიულ საპენსიო უზრუნველყოფისა და ნებაყოფლობით კერძო საპენსიო სქემებისგან. პირველი სვეტი, სახელმწიფო პენსია, დაფუძნებული სოლიდარობის პრინციპზე, რომელში კონტრიბუცია შეადგენს

⁴¹ https://www.sgi-network.org/docs/2020/thematic/SGI2020_Pensions.pdf

ხელფასის 17.9%-ს. სახელმწიფო პენსია ერიცხება ნიდერლანდების ყველა მოქალაქეს, რომელმაც საპენსიო ასაკს მიაღწია. ამასთანავე, პენსიონერისთვის გათვალისწინებულია 700 ევროს ოდენობის თანხა შვებულებისთვის. მეორე სვეტი არის პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის სისტემა, რომლის წევრთა 80% მასში სავალდებულოობის პრინციპით არის ჩართული. პენსიის მეორე დონე წარმოადგენს საპენსიო შენატანს, რომელსაც დასაქმებული და დამსაქმებელი იხდიან პრომითი საქმიანობის განმავლობაში. გარდა ამისა, არსებობს საპენსიო დანაზოვის სისტემა, რომლის ფარგლებშიც მოქალაქე პრომითი საქმიანობის პერიოდში აგროვებს, ხოლო პენსიაზე გასვლის დროს ერთიან თანხად იღებს. ნიდერლანდებში მეორე სვეტი, ძირითადად, წარმოადგენს განსაზღვრული სარგებლის (DB) სისტემას, ასევე მოქმედებს განსაზღვრულ შენატანებზე დაფუძნებული საპენსიო სქემები (DC), რომელთა პოპულარობა ქვეყანაში უფრო და უფრო იზრდება. განსაზღვრულ შენატანებზე დაფუძნებულ სქემაში, მთლიანი კონტრიბუციის $\frac{1}{3}$ -ს იხდის დასაქმებული, ხოლო $\frac{2}{3}$ -ს დამსაქმებელი. 65 წლამდე ნებისმიერ ასაკშია შესაძლებელი პენსიაზე გასვლა. ამ შემთხვევაში, კუთვნილ თანხას გამოაკლდება 2% ყოველ წელზე. მაგალითად, თუ ადამიანი გავა პენსიაზე 63 წლის ასაკში, მისი ყოველთვიური პენსია იქნება 4%-ით ნაკლები. 2018 წელს საპენსიო ასაკი 66 წელი გახდა, 2021 წლის ბოლოსთვის იგეგმება 67 წლამდე ზრდა. პენსიის მიღების უფლება აქვს ნიდერლანდების ყველა მოქალაქეს და იმ უცხოელს, რომელიც 50 წელია ცხოვრობს ქვეყანაში. აღსანიშნავია, რომ ნიდერლანდებში დასაქმების მაჩვენებელი 60-65 წლის ასაკობრივ კატეგორიაში 2005 წლის შემდეგ თითქმის გაორმაგდა. როგორც შემდეგ ქვეთავში მოცემული ჩვენი კვლევის შედეგები გვიჩვენებს, ასაკიან მოსახლეობაში დასაქმების მაჩვენებელი განსაკუთრებით დიდ გავლენას ახდენს საპენსიო სისტემის სტაბილურობაზე.

ავსტრია - მოქმედებს გადანაწილებითი (PAYG) მოდელი. სისტემას აფინანსებენ, როგორც დასაქმებულები, ასევე დამსაქმებლები. დასაქმებული გადანაწილებით სისტემაში იხდის ხელფასის 12.55%-ს, ხოლო დამსაქმებელი 10.25%-ს. გადანაწილებითი სქემის პარალელურად არსებობს სხვადასხვა საპენსიო დაგროვებითი სქემა, რომელში ჩართვაც დამსაქმებელმა შეიძლება შესთავაზოს

დასაქმებულს. ქვეყნის საპენსიო სისტემა რთული დემოგრაფიული გამოწვევების წინაშე დგას, რასაც ემატება ავსტრიელთა მხრიდან პენსიაზე ნაადრევად გასვლის მაღალი მაჩვენებელი ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით. ამ ფაქტორების გათვალისწინებით დაბალია ავსტრიის საპენსიო სისტემის მდგრადობის მაჩვენებელი.

პოლონეთი – 1999 წლიდან ამოქმედებულმა სამ სვეტიანმა საპენსიო სისტემამ დიდი ცვლილებები განიცადა. 2002 წლისთვის სისტემაში უკვე ჩართული იყო 9.7 მლნ ადამიანი, დასაქმებულთა 60%-ზე მეტი. 2004 წლისთვის პოლონეთში არსებობდა 16 საპენსიო ფონდი, რომლებიც დაახლოებით 45.44 მლრდ ზლოტის ღირებულების კაპიტალს განკარგავდნენ. ამ სახსრების დაახლოებით 50% სახელმწიფო ობლიგაციებში იყო დაბანდებული. 2008-2009 წლების გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ მთავრობის გადაწყვეტილებით, პოლონეთის საპენსიო ფონდებში არსებული თანხა ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების წყაროდ გადაიქცა. სახელმწიფო ბიუჯეტიდან პენსიის ბენეფიციარები დაყოფილნი არიან ჯგუფებად დაბადების თარიღის მიხედვით: 1949 წლის 1-ელ იანვრამდე დაბადებულთა პენსიები გაიცემა 1999 წლამდე არსებული საპენსიო სისტემის მიხედვით; 1969 წლის 1-ელ იანვრამდე დაბადებულთათვის გამონაკლისებით გამოიყენება ახალი საპენსიო სისტემის პრინციპები; 1968 წლის 31 დეკემბრის შემდეგ დაბადებულთა საპენსიო უზრუნველყოფა ხდება მთლიანად ახალი სისტემის ფარგლებში. საპენსიო რეფორმის შედეგად დადგინდა, რომ მომავალი პენსიის ოდენობა დამოკიდებულია საპენსიო შენატანებსა და პენსიაზე გასვლის შემდგომი სიცოცხლის ხანგრძლივობაზე. გარდა ამისა, რეფორმით შემოიღეს ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო დაზღვევა. საპენსიო დაზღვევის შენატანი შეადგენს მთლიანი ხელფასის 19.52%-ს. აქედან, ნახევარს იხდის დასაქმებული, ნახევარს - დამსაქმებელი. დღეისათვის პოლონეთში საპენსიო ანაზღაურება უნიფიცირებულია და მის გამოსათვლელად გამოიყენება შემდეგი ფორმულა: პენსიის ოდენობა ტოლია საპენსიო შენატანების ოდენობებისა (ინდექსაციის გათვალისწინებით) და საპენსიო ასაკში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ნამრავლის. კანონმდებლობით შესაძლებელია ნაწილობრივი პენსიის მიღებაც, თუ მამაკაცი მიღწეულია 65 წლის ასაკს, ხოლო ქალი - 62. ნაწილობრივი პენსია გულისხმობს სრული პენსიის 50%-ს. ნაწილობრივი პენსია

შეთავსებადია სხვა პრომით შემოსავალთან. სიცოცხლის ხანგრძლივობის გამოსათვლელად ორივე სქესისთვის მიდგომა ერთნაირია. პენსიის ოდენობის განსაზღვრა ხდება ბოლო 20 წლის მანძილზე ნებისმიერი ზედიზედ მიყოლებული 10 წლის შემოსავლის მიხედვით. ბენეფიციარს თავად აქვს უფლება ამოირჩიოს რომელი წლების მიხედვით სურს პენსიის დაანგარიშება.

პორტუგალია - საპენსიო სისტემა ორი ძირითადი ნაწილისგან შედგება. პირველ სვეტს წარმოადგენს „ასაკიანი მოსახლეობის საპენსიო სქემა“, რომელიც დაფუძნებულია სამუშაო წლების განმავლობაში ბენეფიციარის მიერ მიღებულ შემოსავლებზე. აღნიშნული სქემის პენსიები დაკავშირებულია სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობისა და ფასების ინდექსის მაჩვენებლებთან. საპენსიო სქემაში დასაქმებულების შენატანები შეადგენს შემოსავლის 11%-ს, ხოლო დამსაქმებლების - 23.75%-ს. ოფიციალური საპენსიო ასაკი განისაზღვრება სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მიხედვით. პორტუგალიის საპენსიო სისტემის მეორე სვეტს წარმოადგენს პროფესიული საპენსიო სქემები, რომელიც თავის მხრივ ორი ძირითადი ნაწილისგან შედგება: საპენსიო ფონდებისა და ჯგუფური სადაზღვევო კონტრაქტებისგან. მეორე სვეტზე მოდის მოსახლეობის ძალიან მცირე რაოდენობა (დაახლოებით 4%) რაც დიდწილად განაპირობებს იმას, რომ პორტუგალიის საპენსიო სისტემის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს საპენსიო ხარჯების წილის ზრდა მშპ-თან მიმართებაში. 2000 წლიდან 2013 წლამდე პერიოდში საპენსიო დანახარჯების წილი მშპ-თან მიმართებაში 10%-დან 15.7%-მდე გაიზარდა. ეს ყველაზე უარესი მაჩვენებელია ევროკავშირის ქვეყნებს შორის საბერძნეთისა და კვიპროსის შემდეგ. მართალია, 2013 წლის შემდეგ ამ მაჩვენებლის მცირედი კლება ფიქსირდება, თუმცა საპენსიო დანახარჯები მაინც ძალიან მაღალია მშპ-თან მიმართებაში.

რუმინეთი - საპენსიო სისტემა მოიცავს სამ სვეტს. პირველის სვეტი წარმოადგენს სავალდებულო სახელმწიფო პენსიას, რომელიც დაფუძნებულია თაობათა სოლიდარობის პრინციპზე. სოციალური გადასახადი შეადგენს 30%-ს, საიდანაც დამსაქმებელი იხდის 20%-ს, ხოლო დასაქმებული 10%-ს. 2008 წლის შემდეგ სოციალური გადასახადიდან 2% მიემართება მეორე სვეტში. 35 წლამდე დასაქმებულებისთვის სავალდებულო იყო კერძო დაგროვებით სქემაში

მონაწილეობა (მეორე სვეტი). თუმცა, მეორე სვეტის არაეფექტიანი შედეგების გამო, 2018 წელს გატარებული ცვლილებებით, დაგროვებითი სქემა ნებაყოფლობითი გახდა (5 წლიანი კონტრიბუციის შემდეგ, ადამიანი თვითონ ირჩევს სურს თუ არა დარჩეს სქემაში). ასევე გაიზარდა კაპიტალის მინიმალური მოთხოვნები საპენსიო ფონდების მმართველი კომპანიებისათვის და შემცირდა ადმინისტრაციული ხარჯების დასაშვები ნორმა. მესამე სვეტი შედგება კერძო ნებაყოფლობითი პროფესიული საპენსიო სქემებისგან. ამასთანავე, ბოლო წლების განმავლობაში საპენსიო სისტემის პირველ სვეტში გატარებული ცვლილებები, ძირითადად, ითვალისწინებს პენსიების ზრდას, რაც საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასების მიხედვით, კიდევ უფრო ზრდის საპენსიო სისტემის ფისკალურ წნეხს და განაპირობებს რუმინეთის საპენსიო სისტემის კომპლექსური რეფორმირების აუცილებლობას.

სლოვენია - საპენსიო სისტემა დაგროვებითია, რომელიც ასევე ხასიათდება ასაკიანი მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდითა და დასაქმების მაჩვენებლის შემცირებით. 2012 წლიდან დაწყებული რეფორმის მიზანი საპენსიო ასაკის ზრდა და უფროსი ასაკის მოსახლეობის სტიმულირება იყო დასაქმების ბაზარზე უფრო ღიბხანს დასარჩენად. შედეგად, როგორც ქალების, ასევე მამაკაცებისათვის საპენსიო ასაკად განისაზღვრა 65 წელი, ხოლო მათთვის, ვისაც მინიმუმ 40 წლიანი სამუშაო სტაჟი აქვს - 60 წელი. დემოგრაფიული ტენდენციების გათვალისწინებით, ეს ცვლილებები საკმარისი არ აღმოჩნდა მომავალში საპენსიო სისტემის მდგრადობის შესანარჩუნებლად, რის შემდეგაც დაიწყო ცვლილებების ახალ პაკეტზე მუშაობა, რომელიც 2020 წელს მიიღეს. ახალი პოლიტიკის მიზანია ჩანაცვლების წმინდა კოეფიციენტის 70%-მდე ზრდა, პენსიაზე გასვლის ასაკის კიდევ უფრო გაზრდა და პენსიების ინდექსაციის წესის ცვლილება, რომლის მიხედვითაც ის უნდა დაუკავშირდეს ხელფასების საშუალო ზრდის ტენდენციებსა და სამომხმარებლო ფასების ინდექსს.

სლოვაკეთი - საპენსიო სისტემა დაფუძნებულია სამ სვეტზე. პირველი სვეტი წარმოადგენს სავალდებულო სახელმწიფო პენსიას (PAYG). მეორე სვეტი დაფუძნებულია განსაზღვრული პენატანის სქემაზე, ხოლო მესამე სვეტი ნებაყოფლობით დამატებით საპენსიო უზრუნველყოფაზე. სლოვაკეთში სოციალური გადასახადი შეადგენს 34.6%-ს, საიდანაც დამსაქმებელი 25.2%-ს, ხოლო დასაქმებული

9.4%-ს იხდის. სოციალური გადასახადიდან საპენსიო უზრუნველყოფაზე პირველ და მეორე სვეტში მიემართება 18%, საიდანაც დასაქმებული 4%-ს, ხოლო დამსაქმებელი 18%-ს იხდის. საპენსიოს შენატანის 18%-დან პირველ სვეტში მიემართება 13.5%, ხოლო 4.5% - მეორე სვეტში. სოციალური გადასახადის დარჩენილი ნაწილი გადაირიცხება სხვადასხვა სახის სავალდებულო სადაზღვევო ფონდსა და ე.წ. სარეზერვო ფონდში. სლოვაკეთში დემოგრაფიული და დასაქმების კუთხით არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე, საპენსიო უზრუნველყოფას (პირველ სვეტი) ექმნება დაფინანსების პრობლემა, რომლის კომპენსაციაც ხორციელდება ზემოთ აღნიშნული ფონდებიდან. ბოლო წლების განმავლობაში გატარებული რეფორმებიდან, აღსანიშნავია პენსიების ინდექსაციის წესის ცვლილება - 2017 წლამდე პენსიების ინდექსაცია ხდებოდა პენსიონერთა ცხოვრებისთვის საჭირო საშუალო წლიური დანახარჯების მიხედვით, 2017 წლიდან პენსიების ინდექსაცია ხდება საშუალო ხელფასების ზრდისა და სამომხმარებლო ფასების ინდექსთან მიმართებაში.

ფინეთი - მოქმედებს გადანაწილებითი სისტემა, რომლის ბაზისური ნაწილი უზრუნველყოფს სახელმწიფო პენსიის მინიმალურ ოდენობას, სადაზღვევო ნაწილი კი ყალიბდება შენატანებით სადაზღვევო კომპანიაში ან საპენსიო ფონდში. საპენსიო სისტემის ნაწილია სავალდებულო დასაქმებაზე-დაფუძნებული შემოსავლებთან-დაკავშირებული საპენსიო სისტემა და ასევე, ნებაყოფლობითი პროფესიული სქემები და კერძო საპენსიო დანაზოგები. 2005 წლიდან დაწყებული რეფორმის მთავარი მიზანი იყო საპენსიო სისტემის მოქნილობის გაზრდა და დასაქმების ბაზარზე უფრო ღიბხანს დარჩენის წახალისების მყარი მექანიზმების შექმნა. 2017 წლიდან დაწყებული რეფორმების მთავარი მიზანი კი საპენსიო სისტემის საჯარო დანახარჯების მდგრადობის გაზრდა იყო. გარდა ამისა, ფინეთის მოქალაქეების 1/5-დი სისტემატიურად ათავსებს დანაზოგებს სხვადასხვა სახის საპენსიო ანგარიშზე, ეს შეიძლება იყოს სპეციფიკური კერძო საპენსიო ფონდი, დანაზოგების განთავსებისათვის სპეციალური ანგარიშები ან სხვა სახის აქტივები. სოციალური პარტნიორებისა და მთავრობის ერთობლივი პოლიტიკისა და მუშაობის შედეგია ის, რომ ფინეთი დღემდე უზრუნველყოფს ცხოვრების ღირსეულ დონეს

პენსიონერებისათვის ისე, რომ ქვეყანამ შეძლო და თავი აარიდა ასაკიანი მოსახლეობის გაღარიბების „კლასიკურ“ პრობლემას.

შვედეთი - საპენსიო სისტემა ორ სვეტიანია (სახელმწიფო პენსია და პროფესიული საპენსიო სქემები) და ერთ-ერთი უნიკალურია დასავლეთ ევროპაში. შვედეთში სოციალური დაცვის შენატანის ნაწილი ირიცხება ინდივიდუალურ საინვესტიციო ანგარიშებზე, საიდანაც ხდება საპენსიო ფონდის ფორმირება, რომელსაც მართავენ დამოუკიდებელი, ფონდების მართვის კომპანიები. სახელმწიფო პენსია შედგება სამი ნაწილისგან: 1. შემოსავლებზე დაფუძნებული პენსია (დაფუძნებულია თაობათა სოლიდარობის პრინციპზე და ყალიბდება დასაქმებულთა შენატანით, რაც ხელფასის 16%-ია); 2. გამომუშავებაზე-დაფუძნებულ პრემიუმ-პენსია, რომელსაც მართავს შვედეთის სახელმწიფო ორგანო Premium Pension Authority (PPM). სქემის ფარგლებში საპენსიო შემოსავლიდან 2.5% ირიცხება სავალდებულო დაგროვებით საპენსიო სისტემაში. თანხები განთავსებულია ინდივიდუალურ საინვესტიციო ანგარიშებზე, რომელსაც ანგარიშის მფლობელი თვითონ ირჩევს. დამსაქმებელს შეუძლია საკუთარი პრემიუმ საპენსიო ფონდები განათავსოს 5 ფონდში, დაახლოებით 700 ორმხრივი ფონდიდან, რომელიც ოპერირებს ქვეყანაში. ხოლო იმ პირთათვის, რომელთაც არ სურთ თვითონ ახორციელებდნენ საინვესტიციო საქმიანობას, არსებობს ალტერნატივა Premium Savings Fund-ის სახით, რომელსაც მართავს შვედეთის ეროვნული საპენსიო ფონდი; 3. საპენსიო სისტემის მესამე ნაწილს წარმოადგენს გარანტირებული პენსია, რომელიც გულისხმობს შვედეთში არანაკლებ 40 წლის განმავლობაში მცხოვრები 65+ ასაკის (შემოსავლების არ მქონე ან დაბალშემოსავლიანი მოსახლეობა) ადამიანისათვის გარანტირებული მინიმალური საპენსიო განაცემის უზრუნველყოფას. სქემა ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და ამ სახის პენსიის სავალდებულო მინიმუმი იცვლება ქვეყანაში არსებული დემოგრაფიული და ეკონომიკური სიტუაციის გათვალისწინებით. სკანდინავიის სხვა ქვეყნებთან შედარებით შვედეთის საპენსიო სისტემა მეტი პრობლემით ხასიათდება (შვედეთში ორჯერ მეტი პენსიონერი ცხოვრობს სიღარიბეში ვიდრე დანიაში და სამჯერ მეტი ვიდრე ნორვეგიაში), თუმცა ბოლო წლების განმავლობაში გატარებული რეფორმების საშუალებით ქვეყანამ

შეძლო ვითარების გამოსწორება. რეფორმის ერთ-ერთი მთავარი შედეგი კი არის კერძო საპენსიო სქემების უფრო მეტად განვითარება. 2019 წელს პარლამენტმა ასევე დაამტკიცა ცვლილებები, რომელიც საპენსიო ასაკის 67 წლამდე გაზრდას ითვალისწინებს.

დიდი ბრიტანეთის - საპენსიო სისტემა მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი და რთულია. მოქმედებს სამ სვეტიანი სისტემა, საიდანაც წამყვანია მეორე (დასაქმებულებზე დაფუძნებული) სვეტი. ბრიტანელი პენსიონერები იღებენ, როგორც ბაზისურ პენსიას სახელმწიფოსგან, ისე შრომით პენსიას ეროვნული სადაზღვევო სისტემიდან, რომელიც ხელფასსა და სტაჟზეა დამოკიდებული. პენსიის ოდენობა განისაზღვრება სახელმწიფოს მიერ ინფლაციის დონის გათვალისწინებით და გარანტირებულად შეადგენს მომუშავის საშუალო შემოსავლის 20%-ს. შრომითი პენსია ასევე ეფუძნება შენატანებს, სადაც 50%-ის კონტრიბუციას ახორციელებს დამსაქმებელი, 50%-ს - დასაქმებული. გარდა ამისა, დიდ ბრიტანეთში არის დაგროვების მრავალრიცხოვანი საშუალება კერძო სადაზღვევო პენსიის სახით - კორპორაციული პროგრამებისა და ნებაყოფლობითი დაგროვებითი სისტემის ჩათვლით. მიუხედავად ამისა, დიდ ბრიტანეთში სიღარიბის დონე ასაკოვან მოსახლეობაში მაღალია ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით, რაც ბრიტანეთის საპენსიო სისტემის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. თუმცა პარალელურად, დიდი ბრიტანეთის საპენსიო სისტემა ერთ-ერთი ყველაზე მდგრადია ფინანსურად ევროპის ქვეყნებს შორის.

ისლანდია - საპენსიო სისტემა სრულად დაგროვებითია. საპენსიო ფონდები დაფუძნებულია დასაქმებულების მხრიდან ხელფასების 4%-იან, ხოლო დამსაქმებლების მხრიდან 8%-იან შენატანებზე. გარდა ამისა, დასაქმებულს აქვს საშუალება დამატებით 4%-იც გადარიცხოს საპენსიო ფონდში, ამ შემთხვევაში დასაქმებული ვალდებულია 8%-ის ნაცვლად 10%-ის კონტრიბუცია მოახდინოს საპენსიო ფონდში. საპენსიო სქემის მიზანია უზრუნველყოს დასაქმებული საშუალო ხელფასის მინიმუმ 56%-ით. 2019 წლისათვის ისლანდიაში არსებობდა დაახლოებით

27 საპენსიო ფონდი, 1997 წლისათვის ეს მაჩვენებელი 50 იყო⁴². ისლანდიის საპენსიო სისტემა ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია ევროპაში, რასაც დიდწილად განაპირობებს საპენსიო ფონდების ეფექტიანი საინვესტიციო საქმიანობა, რომელთა საშუალო რეალური წლიური ამონაგები ინვესტიციებიდან არის 1.2-6.2%. აღსანიშნავია, რომ 2007-08 წლების ფინანსური კრიზისის შემდეგ (რომელმაც ისლანდიის საპენსიო სისტემას დიდი დარტყმა მიაყენა), ქვეყნის საინვესტიციო ფონდებმა რადიკალურად შეცვალეს საინვესტიციო მიმართულება და კონცენტრირება გლობალური ფინანსური ბაზრებიდან ადგილობრივ ბაზარზე მოახდინეს. 2017 წლიდან ისლანდიის ცენტრალურმა ბანკმა დაიწყო იმ რეგულაციების შერბილება, რომელიც კრიზისის დროს დაანესეს და, ძირითადად, საზღვარგარეთ საინვესტიციო აქტივობების შეზღუდვას შეეხებოდა.

ნორვეგია - პენსია შედგება მინიმუმისგან, რომელსაც სახელმწიფო ყველა პენსიონერს ფიქსირებულად უხდის და დანამატისგან, რომელიც დამოკიდებულია შრომით სტაჟსა და ხელფასზე. ნორვეგიაში საპენსიო რეფორმების ტალღა 2009-2011 წლებში განხორციელდა. ისევე როგორც ფინეთის შემთხვევაში, ნორვეგიამაც აქცენტი დასაქმების ბაზრის მიმართულებაზე გააკეთა - სამუშაო ძალაში დარჩენის წახალისებასა და პირიქით, პენსიაზე ნაადრევად გასვლისათვის დესტიმულირების მექანიზმების შექმნით. მართალია, არსებობს საპენსიო სისტემის შიგნით კერძო საპენსიო სქემები, თუმცა სახელმწიფო პენსია იმდენად „გულუხვია“ რომ მოსახლეობას დიდი სტიმული კერძო სქემებში მონაწილეობისათვის არ აქვს. აღსანიშნავია, რომ ნორვეგიის მთავრობას ამის საშუალებას დემოგრაფიული სურათიც აძლევს - ევროპის ბევრი ქვეყნისაგან განსხვავებით, სადაც მწვავედ დგას მოსახლეობის დაბერების საკითხი, ნორვეგიაში პირიქით, იზრდება შობადობის მაჩვენებელი და ფიქსირდება სამუშაო ძალის გაახალგაზრდავების ტენდენცია. გარდა ამისა, ნორვეგიის სახელმწიფო პენსიების გარანტორია დანაზოგები, რომელიც აკუმულირებულია ნავთობის ფონდში, რომელიც 2006 წლიდან ოფიციალურად იწოდება, როგორც სამთავრობო საპენსიო ფონდი, თუმცა ის არ არის ტრადიციული გაგებით საპენსიო ფონდი.

⁴² https://www.sgi-network.org/docs/2020/thematic/SGI2020_Pensions.pdf

როგორც მოცემული ქვეყნების საპენსიო სისტემების მოკლე მიმოხილვა გვიჩვენებს, სამომავლოდ, განვითარებული ქვეყნების დემოგრაფიული ვითარება (მოსახლეობის დაბერება) გაართულებს გადანაწილებითი საპენსიო სისტემის მდგრადობის უზრუნველყოფას. გაიზრდება ხანდაზმული მოსახლეობის რაოდენობა და მნიშვნელოვნად შეიცვლება პრომისუნარიან მოსახლეობასთან მათი თანათარდობა სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის გამო. აღნიშნული გამოწვევების საპასუხოდ, ბევრმა განვითარებულმა სახელმწიფომ განახორციელა გარკვეული ცვლილებები საპენსიო სისტემაში. მათგან ყველაზე გავრცელებული ცვლილება საპენსიო ასაკის ზრდაა. ამასთანავე, წარმატებული საპენსიო სისტემების საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს მრავალსვეტიანი საპენსიო სისტემების უპირატესობებს. რადგან მრავალსვეტიანი სისტემების ფარგლებში მეტად არის შესაძლებელი, ერთი მხრივ, მაღალი ჩანაცვლების კოეფიციენტის მიღწევა და, მეორე მხრივ, სოციალურად სამართლიან უნივერსალურ პენსიასთან ერთად, მომავალი ბენეფიციარის სამუშაო სტაჟისა და შემოსავლების შესაბამისი საპენსიო განაცემების უზრუნველყოფა. გარდა ამისა, როგორც ჩვენი კვლევის მომდევნო თავებში ვნახავთ, ისევე როგორც სხვა სფეროებზე, Covid-19 პანდემიით გამოწვეული კრიზისი გავლენას მოახდენს საპენსიო სისტემებზეც. რაც კიდევ უფრო მეტად აქტუალურს გახდის მათი მოდერნიზაციისა და ახალ გამოწვევებზე სათანადო რეაგირებისათვის მზაობის საკითხს.

1.3 საქართველოს საპენსიო სისტემის განვითარების პრობლემები 1991-2020 წლებში

დამოუკიდებელ საქართველოს მემკვიდრეობით ხვდა წილად საბჭოთა საპენსიო სისტემა, რომელიც მიზნად ისახავდა პენსიონერისათვის პენსიაზე გასვლამდე არსებული ცხოვრების დონის შენარჩუნებას. პენსია შეადგენდა მუშაობის ბოლო წლის ან ბოლო 5 წლის ხელფასის 55%-ს. პენსიებისა და სხვა სოციალური გასაცემლების ადმინისტრირება ხორციელდებოდა ერთიანი საპენსიო და სამედიცინო დაზღვევის ფონდის მიერ. ფონდი ფინანსდებოდა სოციალური შესატანებით, რომელსაც იხდიდა როგორც დამსაქმებელი (სახელმწიფო და კერძო საკუთრებაში მყოფი საწარმოები - სახელფასო ფონდის 37%-ის ოდენობით, საბიუჯეტო დაწესებულებები - სახელფასო ფონდის 26%-ის ოდენობით), ისე დასაქმებული (ხელფასის 1%).

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს საპენსიო სისტემამ რეფორმირების რამდენიმე ეტაპი გაიარა, რომელთაგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 1995 წელს სოციალური საპენსიო სისტემის შემოღება. დასაწყისში პენსიის რაოდენობა განისაზღვრებოდა მოცემული წლისათვის სახელმწიფო საპენსიო ფონდის შემოსავლების მოცულობით, რომელიც იყოფოდა პენსიონერთა რაოდენობაზე. იმ პერიოდში იგეგმებოდა საპენსიო სისტემის მოდიფიკაცია, თუმცა 1990-იანი წლების ბოლოს არსებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა და არასტაბილურმა ფისკალურმა გარემომ ხელი შეუშალა რეფორმების განხორციელებას.

საპენსიო სისტემის რეფორმირების მომდევნო მნიშვნელოვანი ტალღა დაიწყო 2004 წელს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, აღნიშნულ პერიოდამდე სახელმწიფო პენსია ფინანსდებოდა სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიერ, რომლის საშემოსავლო რესურსი ემყარებოდა დამქირავებლისა და დასაქმებულის საგადახადო შენატანებს. 2004 წლიდან სოციალური პროგრამები ფინანსდება საერთო საბიუჯეტო შემოსავლიდან. მას შემდეგ, რაც სოციალური უზრუნველყოფის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა დაკარგა თავისი ძირითადი ფუნქცია


(ინდივიდუალური სოციალური გადასახადის შეგროვება და ადმინისტრირება), განხორციელდა მისი რეორგანიზაცია და ჩამოყალიბდა ორი ახალი სტრუქტურა: დასაქმებისა და სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო სააგენტო და ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების სააგენტო. 2010 წლის ბოლოსთვის ორივე სააგენტო გაერთიანდა და ჩამოყალიბდა სოციალური მომსახურების სააგენტო. დღეს ქვეყანაში სახელმწიფო პენსიის გამოყოფის პასუხისმგებლობა სწორედ ამ სააგენტოს აკისრია და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შემადგენლობაში შემავალი სტრუქტურული ერთეულია.

2007 წლიდან 2012 წლის აგვისტომდე, პენსიის ოდენობა მოიცავდა სტანდარტულ პენსიას და დანამატს სამუშაო სტაჟის მიხედვით. აღნიშნული დანამატი განისაზღვრებოდა სამუშაო სტაჟით, რომელიც პროპორციულად ემატებოდა პენსიას. იმ ადამიანებისათვის, რომელთაც ნამუშევარი ჰქონდათ 25 ან მეტი წელი, დანამატი შეადგენდა თვეში 10 ლარს და, ეს იყო მაქსიმალური დანამატი. 2008 წელს, ქვეყანაში განხორციელებული საგადასახადო რეფორმის შედეგად, სოციალური გადასახადი საერთოდ გაუქმდა და სანაცვლოდ გაიზარდა საშემოსავლო გადასახადი 12%-დან 20%-მდე. პენსიის ოდენობა აღარ ეფუძნებოდა პენსიაზე გასვლამდე არსებულ ხელფასს. საშემოსავლო გადასახადი გახდა სახელმწიფო ბიუჯეტის ნაწილი, ხოლო საპენსიო ვალდებულებების დაფარვა დაეკისრა ერთიან სახელმწიფო ბიუჯეტს.

რაც შეეხება პენსიების მოცულობის სტატისტიკას - დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, პირველივე წლებიდან, პენსიის ოდენობა გათანაბრდა ყველა ასაკით პენსიონერისათვის და შეადგინა 50 აშშ ცენტის ეკვივალენტი კუპონებში. 1998 წლის აგვისტოში პენსია გახდა 14 ლარი - ეს ოდენობა უცვლელი დარჩა 2004 წლამდე და ინფლაციის გამო მისი მსყიდველუნარიანობა მნიშვნელოვნად შემცირდა. 2003 წელს პენსია იმ დროისთვის არსებული საშუალო ხელფასის დაახლოებით 11%-ს შეადგენდა და მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდა საარსებო მინიმუმს. 2004 წლიდან იწყება სახელმწიფო პენსიის ეტაპობრივი ზრდა. 2012 წლის სექტემბრიდან სახელმწიფო პენსიები გაიზარდა 100 ლარიდან 125 ლარამდე 67 წლისა და უფროსი ასაკის პირებისთვის, ხოლო 67 წლამდე ასაკის პირებისთვის - 110 ლარამდე, რასაც

მოწყვა სტაჟის მიხედვით დანამატის გაუქმება. 2013 წლის აპრილიდან, სახელმწიფო პენსიები კვლავ გათანაბრდა ყველასათვის და დაიწყო მცირე ტემპებით ზრდა. 2013 წლის აპრილში თითოეული პენსიონერისათვის ძირითადი პენსია 125 ლარი გახდა. 2013 წლის სექტემბრიდან სოციალური პენსიის ოდენობა ყველა ბენეფიციარისათვის თვეში 150 ლარამდე გაიზარდა. ორი წლის შემდეგ პენსია კვლავ გაიზარდა და 2015 წლის სექტემბერში 160 ლარს მიაღწია. ზრდის მომდევნო ეტაპი იყო 2020 წლის ივლისი, როდესაც 70 წელს ზემოთ პენსიონერთა პენსიას დაემატა 30 ლარი და შეადგინა 250 ლარი. ხოლო მანამდე, 2020 წლის იანვარში 20 ლარით, 220 ლარამდე გაიზარდა ასაკით პენსიონერთა პენსიები. 2021 წლის პირველი იანვრიდან პენსიები კვლავ გაიზარდა და 70 წლამდე ასაკის პენსიონერებისთვის 240 ლარი; ხოლო 70 წლის ან მეტი ასაკის პენსიონერებისთვის - 275 ლარი შეადგინა.

გრაფიკი 6. პენსიების მოცულობა საქართველოში (2004-2021 წწ)



ავტორის გრაფიკი⁴³

სტატისტიკა: nbg.gov.ge; ssa.gov.ge

როგორც გრაფიკ #6-ზე მოცემული ტენდენცია გვიჩვენებს, მიუხედავად იმისა, რომ 2004 წლიდან ლარის ნომინალურ გამოხატულებაში პენსიები სტაბილურად იზრდება, დოლარში კონვერტირებული მაჩვენებელი გვიჩვენებს, რომ 2013 წლიდან

⁴³ პენსიის ღირებულების დოლარში კონვერტაციისთვის თითოეული წლის 31 დეკემბერს არსებული კურსი არის აღებული, ხოლო 2021 წლისთვის 1 იანვრის კურსი

ფიქსირდება კლება, 2015 წლიდან კი გვაქვს ფლეთი. იმპორტზე დამოკიდებული ქვეყნის სამომხმარებლო კალათის საქონლის ფასებისთვის კი ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საქართველოს საპენსიო სისტემის ძირეული ცვლილებების გარდაუვალ აუცილებლობას.

საქართველოს საპენსიო ხარჯები შედგება ოთხი ძირითადი კატეგორიისგან. სოციალური ხარჯების მიხედვით, ყველაზე დიდი კატეგორიაა ასაკით პენსიონერები, შემდეგ მოდის შშმ პირთა სოციალური დახმარება, სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებთა კატეგორია და მარჩენალ დაკარგული ოჯახის წევრების დახმარება. არსებობს მეხუთე კატეგორია: სხვადასხვა - რომელიც აერთიანებს სამხედრო ოპერაციების დროს დაღუპულთა ოჯახის წევრებს, პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლნი და ა.შ. საქართველოს ყველა მოქალაქეს საპენსიო ასაკის მიღწევითანავე ენიშნება ასაკობრივი პენსია (სოციალური პენსია), რომელსაც სოციალური დახმარების სახე აქვს. სოციალური პენსია დამოკიდებული არ არის ხელფასიდან სახელმწიფო ბიუჯეტში ან საპენსიო ფონდში წლების განმავლობაში განხორციელებულ ნომინალურ შენატანებზე და არც ნამსახურებ წლებზე. სოციალური პენსიის მიღების კრიტერიუმები ლიბერალურია. ერთადერთი წინაპირობაა საპენსიო ასაკის მიღწევა. მოქმედებს გარკვეული გამონაკლისები, როგორცაა - ორმაგი მოქალაქეობა და საჯარო სამსახურში დასაქმება. საპენსიო ასაკამდე პენსიაზე გასვლის უფლება ნებადართული არ არის. მოქალაქეებს უფლება აქვთ, საპენსიო ასაკში კერძო სექტორში გააგრძელონ მუშაობა და იმავდროულად მიიღონ სოციალური პენსია. მხოლოდ საჯარო სამსახურში დასაქმებულ მოქალაქეებს ეზღუდებათ პენსიის მიღების უფლება მუშაობის პარალელურად.

საქართველოს სოციალური საპენსიო სისტემა ფინანსდება მთლიანად ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ბიუჯეტის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს დასაქმებული მოქალაქეების მიერ ყოველთვიურად გადახდილი საშემოსავლო გადასახადი, რომელიც ირიცხება სახელმწიფო საპენსიო ფონდში და ხმარდება არსებულ საპენსიო ვალდებულებებს. რაც იმას ნიშნავს, რომ ასაკობრივი პენსია ატარებს სოციალური დახმარების ხასიათს. საქართველოს ყველა მოქალაქეს საპენსიო ასაკის მიღწევითანავე (მამაკაცებისთვის 65 წელი და ქალებისათვის 60

წელი) უფლება აქვს, მოითხოვოს სოციალური პენსია. სისტემის მიზანია მთლიანი მოსახლეობის დაფარვა და თანაბარი ოდენობის პენსიით უზრუნველყოფა.

საქართველოში საპენსიო ასაკში მყოფი მოსახლეობის 95%-ზე მეტი სარგებლობს სოციალური პენსიით. მოსახლეობის სეგმენტს, რომელიც უფლებამოსილი არ არის მიიღოს სოციალური პენსია, შეადგენენ ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირები (რომლებიც სხვა ქვეყანაში იღებენ პენსიას); პირები, რომლებიც საპენსიო ასაკის მიუხედავად აგრძელებენ მუშაობას საჯარო სექტორში (გარდა პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციებისა, ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სხვა კანონით დადგენილი კატეგორიებისა) და მუდმივ ემიგრაციაში მყოფი მოქალაქეები. ნებისმიერი მოქალაქეს, რომელიც მიაღწევს საპენსიო ასაკს და აგრძელებს კერძო სექტორში დასაქმებას, უფლება აქვს, მოითხოვოს სოციალური პენსია. **სოციალური პენსიის ოდენობა წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს სოციალური დაცვის კუთხით. თუმცა, იგი ვერ უზრუნველყოფს ცხოვრების მაღალ დონეს. რაც საფუძვლად დაედო საპენსიო სისტემების რეფორმის ამოქმედებას ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც 2019 წლიდან.**

მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვიური პენსია საქართველოში ბოლო 10-15 წლის განმავლობაში 3-ჯერ და მეტად გაიზარდა, პენსია კვლავ დაბალია და მხოლოდ 2016 წელს გადააჭარბა საარსებო მინიმუმს. გასულ წლებში პენსია საარსებო მინიმუმს მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა, რაც ქვეყანაში კიდევ უფრო მძიმე სოციალურ ფონს ქმნის. ასევე ჩანაცვლების კოეფიციენტის ტრენდი ბოლო წლების განმავლობაში პოზიტიური იყო, მაგრამ ის მაინც ძალიან დაბალია. 2006-2017 წლებში მოხერხდა ჩანაცვლების კოეფიციენტის მხოლოდ 4.2%-ით ზრდა. მიუხედავად იმისა, რომ საბაზისო პენსიაც და მთლიანი საპენსიო ხარჯებიც წლიდან წლამდე იზრდება, მისი მნიშვნელოვანი ზრდა დიდ ფისკალურ სირთულეებთან არის დაკავშირებული. რეფორმის ამოქმედებამდე არსებული ჩანაცვლების კოეფიციენტი საქართველოში შეადგენდა 19%-ს, რაც მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება სხვა ქვეყნებში არსებულ აღნიშნულ მაჩვენებელს. შედარებისათვის, ჩანაცვლების კოეფიციენტის საშუალო მაჩვენებელი რეგიონში შეადგენს 40%-ს, ეკონომიკური თანამშრომლობისა და

განვითარების ქვეყნებში (OECD) – 63%-ს, ხოლო ევროკავშირის ქვეყნებში - 78%-ს.


გარდა ამისა, სოციალური საპენსიო სქემა ვერ უზრუნველყოფს პენსიის სამართლიან მოცულობას აქტიურ სამუშაო ასაკში გამომუშავებული ხელფასების მიხედვით. სოციალური პენსია უზრუნველყოფს უფრო მაღალ ჩანაცვლების კოეფიციენტს შედარებით დაბალი შემოსავლების მქონე ჯგუფებისათვის. მათთვის, ვინც პენსიაზე გასვლამდე საშუალო ხელფასის 50%-ს იღებდა სოციალური პენსია უზრუნველყოფს ჩანაცვლების დაახლოებით 37%-იან განაკვეთს, მათ, ვისაც გააჩნიათ საშუალო ხელფასის ოდენობის შემოსავალი, პენსიაზე გასვლის დროს იღებენ ჩანაცვლების 18%-იან კოეფიციენტს, ხოლო ვინც საშუალო ხელფასის ორმაგ ოდენობას გამოიმუშავებს - იღებს მხოლოდ ჩანაცვლების კოეფიციენტის 10%-ს. ასევე, სოციალური პენსიით უზრუნველყოფილი ჩანაცვლების კოეფიციენტი უფრო მაღალია ქალების შემთხვევაში, მამაკაცებთან შედარებით, ვინაიდან საქართველოში ისევე როგორც მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში, ქალების საშუალო ანაზღაურება მამაკაცების საშუალო ანაზღაურებასთან შედარებით დაბალია.

საქართველო, სხვა ქვეყნების მსგავსად, მნიშვნელოვანი დემოგრაფიული გამოწვევების წინაშე დგას, რაც მოსახლეობის დაბერებასა და სამუშაო ძალის ხვედრითი წილის კლებად ტრენდში გამოიხატება. მნიშვნელოვანი გავლენა სამუშაო ძალის შემცირებაზე იქონია მზარდმა მიგრაციამ და სამუშაო ადგილების შემცირებამ. ამავე დროს, გაიზარდა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა. შედეგად, შემცირებული რაოდენობის სამუშაო ძალის მოსახლეობას უწევს მზარდ საპენსიო ასაკში მყოფი მოსახლეობის დაფინანსება. პარალელურად, მთავრობის საბიუჯეტო ვალდებულებები, სოციალური პენსიის კუთხით, ყოველწლიურად იზრდება, რაც კლებადი სამუშაო ძალის და მზარდი პენსიონერთა რაოდენობის ფონზე სულ უფრო და უფრო დიდ ფისკალურ წნეხს წარმოადგენს.

2020 წლის ბოლოსთვის ასაკით პენსიონერთა რაოდენობა შეადგენდა დაახლოებით 783 ათას ადამიანს. დემოგრაფიულ ანალიზზე დაყრდნობით ნავარაუდებია, რომ მომავალი 15 წლის მანძილზე პენსიონერთა რაოდენობა საქართველოში 30%-ით გაიზრდება და 2030 წლისათვის 950 ათასს მიაღწევს (გრაფიკი #7), რაც ნიშნავს, იმას რომ ასაკოვანი მოსახლეობის რაოდენობა მთლიანი

მოსახლეობის ერთი მეოთხედი იქნება. აღნიშნული მატება, დროის მცირე მონაკვეთში, მნიშვნელოვან დემოგრაფიულ ცვლილებას წარმოადგენს და ქვეყნის ეკონომიკაზე წნეხს ზრდის.


გრაფიკი 7. სოციალური პენსიის მიმღებთა რაოდენობრივი ზრდის დინამიკა საქართველოში (2015-2060 წწ)



წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო www.economy.ge

გაეროს მიერ მომზადებული მოსახლეობის დემოგრაფიული კვლევების მიხედვით, ასაკზე დამოკიდებულების კოეფიციენტი (Old-age dependency ratio) საქართველოში 2020 წელს 24%-ს შეადგენს, რამაც საშუალო შობადობის ტემპის გათვალისწინებით, 2100 წლისათვის შესაძლოა 53%-ს მიაღწიოს. ეს უკანასკნელი გულისხმობს, რომ ყოველ 100 ადამიანზე, რომელთა ასაკიც 15-64 შუალედში მერყეობს, 53 საპენსიო ასაკის (>=65) მქონე ადამიანი იქნება, ე.ი. ყოველი 3 მოქალაქედან, 1 პენსიონერი იქნება (საქართველოს ეროვნული ბანკი, 2019).

გრაფიკი 8. 65+ ასაკის მოსახლეობის წილი საქართველოს მთელ მოსახლეობაში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

თუ მხედველობაში მივიღებთ დემოგრაფიულ პროგნოზს ასაკობრივ ჯგუფში, მივალთ დასკვნამდე, რომ მხოლოდ გადანაწილებითი საპენსიო სისტემის პირობებში ჩანაცვლების კოეფიციენტის მნიშვნელოვანი ზრდა გადაუწყვეტელი საკითხია. 2030 წლამდე სამუშაო ასაკის მოსახლეობა მცირდება 77 ათასი ადამიანით, ხოლო პენსიონერთა რაოდენობა 212 ათასით იზრდება, რაც ნიშნავს, იმას, რომ სამუშაო ასაკის ერთ ადამიანზე პენსიონერთა რიცხვი 31%-დან 42%-მდე იზრდება და გადასახადის გადამხდელებს მომავალში გაცილებით მეტად დააწვებათ გადასახდელი პენსიების ტვირთი. შესაბამისად, აღნიშნული ტენდენციების შენარჩუნების შემთხვევაში საქართველო მნიშვნელოვანი სოციალური გამოწვევების წინაშე აღმოჩნდება. ჩანაცვლების კოეფიციენტის შენარჩუნების ფისკალური ხარჯები 2030 წლისათვის საბიუჯეტო შემოსავლების მეხუთედს მიუახლოვდება. ჩანაცვლების კოეფიციენტის ზრდა, თუნდაც 30 პროცენტამდე, საბიუჯეტო შემოსავლების 40%-ს მოითხოვს და ფისკალურ მდგრადობასთან შეუთავსებელი ხდება. მსგავსი სცენარის შემთხვევაში, აუცილებელი გახდება საგადასახადო შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდა ასაკით პენსიონერთა უზრუნველყოფის დასაფინანსებლად. ფისკალური წნეხის გაზრდა ნეგატიურად აისახება სხვა სახელმწიფო პროექტებსა და ვალდებულებებზე,

წინააღმდეგ შემთხვევაში, საჭირო გახდება მშპ-თან მიმართებაში საგადასახადო შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდა გადასახადების ზრდის ან სამუშაო ძალის ფორმალიზების მეშვეობით.

2019 წლამდე საქართველოში არსებული მხოლოდ სოლიდარობის პრინციპზე დაფუძნებული (PAYG) სოციალური პენსია, რომელიც უნივერსალურია და საპენსიო ასაკის ყველა მოქალაქეს თანაბრად ეხება, წარმოადგენს ტრადიციული სამ სვეტიანი სქემის პირველი სვეტის მაგალითს. ეს სისტემა სიღარიბესთან ბრძოლის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, თუმცა საპენსიო სისტემის მხოლოდ ამ სვეტის არსებობა ხასიათდება მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებით. ამასთანავე, მსოფლიო პრაქტიკამ აჩვენა (რამდენიმე ქვეყნის მაგალითი ზემოთ უკვე განვიხილეთ), რომ არსებობს ქვეყნები, სადაც მხოლოდ პირველ სვეტზე დაფუძნებული სისტემა წარუმატებელი აღმოჩნდა და ვერ უზრუნველყო, საბოლოო ჯამში, მაღალი შემოსავლები საპენსიო ასაკში მყოფი მოსახლეობისათვის. იმავდროულად, არსებობს საპენსიო სისტემის მაგალითები, სადაც მხოლოდ დაგროვებით საპენსიო მოდელზე დაფუძნებულმა ქვეყნებმა ვერ შეძლეს ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც უპასუხებდა საპენსიო სისტემის წინაშე არსებულ ყველა გამოწვევას. შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ არსებულ ტრადიციულ სისტემებზე მეტად ეფექტიანი შეიძლება იყოს მრავალსვეტიანი სისტემა, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს საპენსიო შემოსავლების დივერსიფიცირება, სისტემის სამართლიანობა და ფისკალური წნეხის შემცირება.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტზე არსებული ზნოლა საპენსიო სისტემის მხრიდან კიდევ უფრო მძიმე იქნება Covid-19 პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური შოკების პირობებში, რაც ორმაგად მნიშვნელოვანს ხდის საპენსიო სისტემის რეფორმის საკითხს. ასეთ პირობებში ნათელია თუ რამხელა მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში არსებული სისტემის შენარჩუნება-გაძლიერებასთან ერთად დაგროვებითი საპენსიო სისტემის ჯეროვან ფუნქციონირებას. ზემოთ განხილულმა ტენდენციებმა საბოლოო ჯამში გამოიწვია საქართველოს საპენსიო სისტემის რეფორმის აუცილებლობა. რომლის განხორციელებაც 2019

წლის 1 იანვრიდან დაიწყო. მიმდინარე საპენსიო რეფორმაზე ვრცლად მე-2 თავში გავამახვილებთ ყურადღებას, მანამდე კი შევჩერდეთ საქართველოს საპენსიო სისტემის მდგრადობისა და ადეკვატურობის მაჩვენებლებზე ამჯერად რაოდენობრივი კვლევის საფუძველზე და ევროპის 28 ქვეყნის საპენსიო სისტემებთან მიმართებაში, რათა განვსაზღვროთ საქართველოს საპენსიო სისტემის ადეკვატურობა და მდგრადობა რეფორმის ამოქმედებამდე პერიოდში.

1.4 საპენსიო სისტემების ადეკვატურობისა და მდგრადობის რაოდენობრივი გაზომვა საქართველოსა და ევროპის 28 ქვეყანაში

მოცემული ქვეთავი ეთმობა ავტორის მიერ ჩატარებული ორიგინალური კვლევის აღწერას, კვლევის მეთოდოლოგიისა და ინდიკატორების დეტალურ გაცნობას და, ბოლოს, კვლევის შედეგების შეფასება-შეჯამებას.

მიკრო დონეზე, ოპტიმალური საპენსიო სისტემის ვალია უზრუნველყოს სამომხმარებლო შესაძლებლობების მაქსიმალური გადანაწილება სიცოცხლის მთელი ციკლის განმავლობაში. სისტემის ეფექტიანობას აფასებს ბენეფიციარი. მისი გადმოსახედიდან, ეფექტიანია საპენსიო სისტემა, რომელიც განსაზღვრული კონტრიბუციის პირობებში, იძლევა მაქსიმალურ სარგებელს. არ აქვს მნიშვნელობა ეს კონტრიბუცია გადასახადების გადახდითაა შეტანილი თუ გამოყოფილია

გადასახადებისგან (საპენსიო კონტრიბუცია). მაგრამ შეფასების ასეთი გამარტივებული მიდგომა არ გამოდგება, როდესაც ვაანალიზებთ საპენსიო სისტემის ეფექტიანობას მაკრო დონეზე. ერთი ბენეფიციარის მოხმარების ჩვევებმა, შეიძლება გავლენა მოახდინოს სხვა ბენეფიციარის სამომხმარებლო ქცევაზე, ამ ურთიერთმიმართებამ კი, თავის მხრივ, შეიძლება გავლენა იქონიოს მშპ-ს გადანაწილებაზე. მაკრო პერსპექტივიდან, ეფექტიანი საპენსიო სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს მშპ-ს ოპტიმალურ გადანაწილებას თაობებს შორის დღეს; ასევე ნეგატიური გავლენის მინიმიზირებას, რომელიც სისტემას აქვს ეკონომიკაზე და სამუშაო ბაზარზე. ასევე გაანალიზებული უნდა იყოს, რომ საპენსიო სისტემის მიკრო მასშტაბებით შეფასების საპირისპიროდ, მაკრო მასშტაბებით ეფექტიანობა არ ასახავს ურთიერთობას აკუმულირებულ ბენეფიტსა და კონტრიბუციას შორის. მაკრო პერსპექტივიდან, საპენსიო სისტემის ეფექტიანობა არის ურთიერთმიმართება პენსიონერთა მიერ მიღებულ სარგებელსა და ამ სარგებლის დანახარჯებს შორის, რომელსაც გასწევს აქტიურ სამუშაო ასაკში მყოფი თაობა.

ევროკავშირის OMC (Open Method of Coordination) ჩარჩო პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად, რომლის ინდიკატორებსაც ეყრდნობა ჩვენ მიერ შერჩეული კვლევის მეთოდი, საპენსიო სისტემების ეფექტიანობის შესაფასებლად გამოიყენება სამი ძირითადი ჯგუფი: **ადეკვატურობის ინდიკატორები, მდგრადობის ინდიკატორები და მოდერნიზაციის ინდიკატორები** (ცხრილი #1).

ცხრილი 1. OMC ჩარჩო-პოლიტიკის ინდიკატორები	
ადეკვატურობის ინდიკატორები	
ARP	პენსიონერთა სიღარიბის რისკის ღონე (at-risk-of-poverty rate of pensioners)
MRI65+	65+ ასაკის მოსახლეობის მედიანური შემოსავალი (median relative income ratio of elderly people aged 65+)
ARR	ჩანაცვლების აგრეგირებული განაკვეთი (aggregated replacement ratio)
S80/S20	შემოსავლების უთანასწორობა 65+ ასაკის მოსახლეობაში (inequality of income distribution for people aged 65+)
მდგრადობის ინდიკატორები	
PE/GDP	მიმდინარე საპენსიო დანახარჯები, როგორც მშპ-ს პროცენტი (pension expenditure)
EMP55-64	დასაქმების მაჩვენებელი 55-64 ასაკობრივ ჯგუფში (employment rate of people aged 55-64)
DWL	სამუშაო წლების მოსალოდნელი რაოდენობა (duration of working life)
მოდერნიზაციის ინდიკატორები	
dARP	პენსიონერთა სიღარიბის რისკის ღონე გენდერულ ჭრილში (gender difference in the at-risk-of-poverty rate of pensioners, $ARP_{males} - ARP_{females}$, ოპტიმალური ნიშნული - 0)
dMRI	საშუალო შემოსავალი გენდერულ ჭრილში (gender difference in the median relative income ratio, $MRI_{males} - MRI_{females}$, ოპტიმალური ნიშნული - 0)
dARR	ჩანაცვლების აგრეგირებული განაკვეთი გენდერულ ჭრილში (gender difference in the aggregated replacement ratio, $ARR_{males} - ARR_{females}$, ოპტიმალური ნიშნული - 0)
წყარო:	https://ec.europa.eu/eurostat/web/employment-and-social-inclusion-indicators/social-protection-and-inclusion/pension

1.4.1 კვლევის მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებულია პოლონელი მეცნიერის ფილიპ ჩიბალსკის (Filip Chybalski, 2016) ⁴⁴ მიერ შემუშავებული საპენსიო სისტემების რაოდენობრივი ანალიზის მეთოდი, რომელიც განსაკუთრებით მიესადაგება საპენსიო სისტემის მაკრო მასშტაბებს და ითვალისწინებს მის ღიაობას გლობალურ დონეზე. მეთოდი ეფუძნება ემპირიულ კვლევასა და სტატისტიკურ მონაცემებს და იძლევა საშუალებას ერთმანეთს შევადაროთ რამდენიმე ქვეყნის საპენსიო სისტემა ან ერთი და იმავე ქვეყნის საპენსიო სისტემა სხვადასხვა პერიოდში.

ვინაიდან ჩვენი კვლევის მთავარი მიზანი საქართველოს საპენსიო სისტემის ადეკვატურობისა და მდგრადობის განსაზღვრაა, ყურადღებას გავამახვილებთ OMC-ის მიზნების პირველ და მეორე ჯგუფზე - ადეკვატურობისა და მდგრადობის ინდიკატორების შვიდ ცვლადზე საქართველოს, დიდი ბრიტანეთისა და EU27 (ბელგია, ჩეხეთი, დანია, გერმანია, ესტონეთი, ირლანდია, საბერძნეთი, ესპანეთი, საფრანგეთი, იტალია, კვიპროსი, ლატვია, ლიეტუვა, ლუქსემბურგი, უნგრეთი, მალტა, ნიდერლანდები, ავსტრია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვენია, სლოვაკეთი, ფინეთი, შვედეთი, ისლანდია, ნორვეგია) ქვეყნების ჯგუფებისთვის და გამოვითვლით კვლევის წვერი ქვეყნების საპენსიო სისტემების ადეკვატურობისა და მდგრადობის სინთეტიკურ ინდიკატორებს.

აღნიშნული კვლევის მეთოდი ავირჩიეთ გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი მიზანია შევაფასოთ საქართველოს საპენსიო სისტემის ეფექტიანობა (რაც მოიცავს როგორც სისტემის მდგრადობის, ასევე ადეკვატურობის მაჩვენებლებს) მაკრო და არამხოლოდ მიკრო დონეზე. ასევე, ჩვენი მიზანია მოვახდინოთ საქართველოს საპენსიო სისტემის კვლევა მულტიფუნქციური მიდგომით, რომელიც დაგვეხმარება ჩავატაროთ უფრო

⁴⁴ Chybalski F. (2016) The Multidimensional Efficiency of Pension System: Definition and Measurement in Cross-Country Studies; Department of Management, Lodz University of Technology, Piotrkowska 266, 90-924 Lodz, Poland

კომპლექსური ანალიზი და მივიღოთ რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებული სურათი, შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავებისთვის.

შერჩეული კვლევის მეთოდოლოგიის პირველი ეტაპი მოიცავს ცხრილ #1-ში მოცემული სტატისტიკური მონაცემების მოძიებას 2010, 2015 და 2018/19 წლებისათვის საქართველოსა და ევროპის 28 ქვეყნის შვიდი ინდიკატორისათვის - ARP, ARR, MRI, S80/S20, PE/GDP, EMP55-64 და DWL (იხილეთ სტატისტიკური მონაცემები დანართების სახით ცხრილი #10; #11, #12).

მეორე ეტაპზე ვახდენთ მონაცემების ტრანსფორმაციას. გამოყენებული 7 ცვლადიდან ARP, S80/S20 და PE/GDP აქვთ დესტიმულატორის ხასიათი (რაც უფრო დაბალია მაჩვენებელი მით უკეთესი), ARR, MRI, EMP55-64 და DWL ინდიკატორების შემთხვევაში კი პირიქით - საუკეთესო საპენსიო სისტემები ამ მაჩვენებლების მაღალი ნიშნულით ხასიათდებიან. ამიტომ, პირველ რიგში ვახდენთ ARP, S80/S20 და PE/GDP ცვლადების ტრანსფორმაციას შემდეგი ფორმულით: $x_{ij} = \max x_{ij} - x_{ij}$, სადაც მიღებული x_{ij} მაჩვენებელი არის მოცემული (i) ინდიკატორის ოპტიმალური ღირებულება (j) ობიექტისთვის.

ამის შემდეგ ვახდენთ ყველა ინდიკატორის [0, 1] ინტერვალს შორის მოქცევას ნორმალიზაციის ფორმულის საშუალებით $\frac{x_i - x_{min}}{x_{max} - x_{min}}$.

